საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი 6 მარტი 1996 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 38 (332)

ფასი 40 თეთრი

## განგაში

# ფალსიფიკატორების დიქტატურა!

თუ თქვენ დალევთ „ჯორჯიან სეკტს“, „ქინძმარაულს“, „წინანდალს“, „ოჯალეშს“, „ხვანჭკარას“... ადვილი შესაძლებელია, უმალ გადასახლდეთ იმ სამყაროში, საიდანაც აღარ ბრუნდებიან!

თუ თქვენ შეჭამთ ფოთისა და კრასნოდარის ეტიკეტებით დაფასოებულ კარაქს — სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტრო გარანტიას გაძლევთ, რომ ნაწლავის ჩხირით დაავადდებით!

და რადგან რესპუბლიკა საგანგაშო მდგომარეობაში აღმოჩნდა ბაზარზე ფალსიფიცირებული პროდუქტის მომრავლების გამო, გუშინ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროსა და რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის ერთობლივ თათბირზე პირუთვნელი საუბარი გაიმართა.

რედაქცია მიიჩნევს, რომ აუცილებელია ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს თათბირზე დასმული პრობლემების შესახებ.

ხვალინდელ ნომერში იხილეთ ჟურნალისტ მაია ტორაძის წერილი:

## „ექსპერიმენტალური ბაჭიების ქვეყანა ანუ წყალი — ფეკალური, ლიმონათი — ფალსიფიცირებული, არაყი — მომწამლავი... მოსახლეობა გაბითურებული».

## ვიზიტი

### ვიზიტი ელცინის ინიციატივით შედგება

მარტის მიწურულს გაიმართება საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი მოსკოვში. რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს პრესსამსახურის ცნობით, საელჩო გულდასმით ემზადება ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტისთვის, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის, ბორის ელცინის ინიციატივით შედგება.

BGI

### დელეგაცია თბილისში

საქართველოში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ვიზიტთან დაკავშირებით, ორი ქვეყნის მთავრობასა და უწყებებს შორის ხელშეკრულებათა შეთანხმებისა და პარაფირებისთვის, გუშინ თბილისში ჩამოვიდა აზერბაიჯანის დელეგაცია 12 კაცის შემადგენლობით.

წინასწარი მონაცემებით, ალიევის ვიზიტის მთავარი მიზანია კასპიის ადრეული ნავთობის ტრანზიტით საქართველოს ტერიტორიაზე გატარების ხელშეკრულებაზე ხელმოწერაში და საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოს გახსნაში მონაწილეობის მიღება.

იპრინდა



## საქართველო

### გენოციდი აფხაზებსაც შეეხო

აფხაზეთში გენოციდის ათასობით ფაქტია დაფიქსირებული. ამის შესახებ საკომიტეტო მოხსენებისას განაცხადა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა. მისი თქმით, საკმარისი ფაქტებია მოპოვებული იმისთვის, რათა გასაგები გახდეს, რომ აფხაზეთის მოსახლეობის გენოციდი წინასწარ მზადდებოდა. ბალუაშვილმა აღნიშნა, რომ გენოციდის მსხვერპლნი აფხაზებიც გახდნენ, რომელთა 45-მა პროცენტმა დატოვა ავტონომიური რესპუბლიკა.

### გრაჩოვის რეაქცია



კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ჯარების გაყვანა ომის განახლებას გამოიწვევს, — განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა. ეს განცხადება გამოიწვია ედუარდ შევარდნაძის მიერ რადიოინტერვიუში გამოთქმულმა ეჭვმა, რუსეთის, როგორც შუამავლის, ფუნქციის ეფექტურობის შესახებ. გრაჩოვის თქმით, კონფლიქტის ზონაში ამჟამად 2500 რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი იმყოფება. მათი გაყვანის შემდეგ, გრაჩოვის თქმით, 45 პოსტი 160 კილომეტრის სიგრძის ფრონტზე და 50 კილომეტრის სიგრძეზე, რესპუბლიკის სიღრმეში, დაუცველი დარჩება.

BGI

### აფხაზი ოფიცრები ნაღმზე აფეთქდნენ

პროგრამა „ვესტის“ ცნობით, გუშინ, გალის რაიონის სოფელ პრიმორსკში, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა ავტომობილი, რომელშიც იმყოფებოდნენ აფხაზეთის შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთის დაჯგუფების მეთაური ვლადიმერ ანუა და სამი აფხაზი ოფიცერი. მათ მიიღეს სხეულის მძიმე დაზიანება და მოთავსებულნი არიან სოხუმის საავადმყოფოში.

### ბოევიკები საოპერაციო მაგიდაზე

როგორც სააგენტოს კორესპონდენტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახურმა სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით შეატყობინა, მათთვის ცნობილი გახდა, რომ ერევანში პლასტიკური ოპერაციები უკეთდება აფხაზეთში სოხუმის შტურმის დროს დაჭრილ 30 ბოევიკს, რომლებიც მკურნალობას გადიან ერევნის სამედიცინო ცენტრ „ერებუნში“. ოპერაციები დამუშავებულია სომხეთის სასწრაფო დახმარების ცენტრის ექიმის სანველ ამატუნის მეთოდით, რომელიც რამდენიმე ხნის წინ, 10 დღის განმავლობაში იმყოფებოდა სოხუმში, სადაც პლასტიკური ოპერაციები გაუკეთა ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის 77 წევრს და დაჭრილ ბოევიკებს. ამასთან დაკავშირებით, გუდაუთის ხელისუფლებამ სამადლობელი წერილი გაუგზავნა ერევნის სამედიცინო ცენტრ „ერებუნს“.

იპრინდა

### დახმარებას მოსახლეობის დაუცველი ფენა საჭიროებს

ომის შესახებ კანონის მიღების შემდგომ, უკან, სოციალიზმისკენ არც კი მოვიხედავთ, — განაცხადა 4 მარტს ედუარდ შევარდნაძემ გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა დეპარტამენტის გადაუდებელი დახმარების განყოფილების დირექტორთან, მანუელ არანტეს დე სილვასთან შეხვედრისას. ჩვენ უამრავი პრობლემა გვაქვს და მათ შორის მთავარი, ენერგოკრიზისია. მრეწველობის პოტენციალის მხოლოდ 80 პროცენტი გამოიყენება. ამგვარ პირობებში თანადგომა და დახმარება ფასდაუდებელია. ვინაიდან იგი მრავალმხრივ განსაზღვრავს რეფორმათა ბედს. საქართველოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ საერთაშორისო ინსტიტუტების დახმარებას, განსაკუთრებით, მოსახლეობის დაუცველი ფენა და ლტოლვილნი საჭიროებენ.

BGI

## პარლამენტი

### პარლამენტი — მეგობრობის ტრიბუნა

გუშინ გაიმართა საქართველოს პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების დელეგაციის წარმომადგენლები. ქართველი პარლამენტარების წინაშე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის ხელმძღვანელმა მუსტაფა ქალემლიმ. მან დადებითად შეაფასა თურქეთ-საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა და აღუთქვა საქართველოს მთავრობას, რომ ძალისხმევას არ დაიშურებს თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ თურქეთის მთავრობა მოუწოდებს თურქ ბიზნესმენებს, საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ინვესტიციების ჩადებისკენ.

რაც შეეხება საქართველოზე ნავთობის ტრანზიტს, ქალემლიმ აღნიშნა, რომ ამ პროექტის განხორციელება გამოიწვევს რეგიონში პოზიტიურ ძვრებს და თურქეთი, თავის მხრივ, არ დაიშურებს სახსრებს პროექტის დროულად განხორციელებისთვის. დასასრულს, მან თქვა, რომ თურქეთი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად.

დილის სხდომაზე განიხილეს კანონპროექტი „დაცული ტერიტორიების (ნაკრძალების) სისტემის შესახებ“ და იგი პირველი მოსმენით მიიღეს.

იპრინდა

## ნომერშია.

პოზიცია

### ისევ თურქული უნივერსიტეტის შესახებ



იხილეთ გვ.2, გვ.3

თურქული უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით თავის აზრს გვიზიარებენ ბატონები: ოთარ ჯაფარიძე, ვახტანგ სართანია, ზურაბ სარჯველაძე, ლევან სანიკიძე, რევაზ მიშველაძე, იოსებ კვიციანი, რევაზ სირაძე.

## პრესკონფერენცია

### თურქეთი ბეჯითად იცავს ნავთობის ტრანსპორტირების დასავლურ პროექტს

საქართველოში პარლამენტის თავმჯდომარის მოწვევით იმყოფებოდა თურქეთის პარლამენტის დელეგაცია მუსტაფა ქალიმლის თავმჯდომარეობით. სტუმრები შეხვდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტის წევრებს, პრეზიდენტს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მაღალი შეფასება მისცა თურქეთის პარლამენტართა ვიზიტის შედეგებს. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი დაგეგმილი იყო ჯერ კიდევ თურქეთში სამთავრობო კრიზისის დარეგულირებამდე. მისი თქმით, საქართველო განებივრებულია თურქეთის ხელისუფალთა ყურადღებით და კმაყოფილება გამოთქვა მუსტაფა ქალიმლის მიმართ, რომელიც ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის ტრადიციებს აგრძელებს.

შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ თურქი დეპუტატები საკმაოდ კარგად იცნობენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. გადაწყდა, შეიქმნას შერეული საპარლამენტთაშორისო კომისია, რომელიც ყოველწლიურად განიხილავს პრობლემატურ საკითხებს, დასახავს მათი გადაწყვეტის გზებს, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას.

ქართველ პარლამენტარებთან შეხვედრისას თურქეთის დელეგაცია კავკასიური ქვეყნების საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის ინიციატივით გამოვიდა, რაც მომავალში მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კავკასიური პრობლემების მოგვარებას, ხელს შეუწყობს კავკასიის რეგიონში მშვიდობის დამყარებას.

მუსტაფა ქალიმლიმ ისაუბრა ორ ქვეყანას შორის მომავალ თანამშრომლობაზე. მან განაცხადა, რომ თურქეთ-საქართველოს შორის გაიხსნება საჰაერო დერეფანი, რაც ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო ურთიერთობების გასაღრმავებლად კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

პრესკონფერენციაზე საუბარი შეეხო კასპიის ზღვის ნავთობის ტრანსპორტირების საკითხსაც. მუსტაფა ქალიმლის თქმით, თურქეთის სრუტეები ველარ გაუძლებს ტანკერებით ნავთობის ტრანსპორტირებას. ამიტომ, თურქეთის მხარე ბოლომდე მხარს დაუჭერს აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირების დასავლურ ვარიანტს, პროექტის დაფინანსების საკითხებს კი, თურქეთის მთავრობა გადაწყვეტს.

დიანა გაბრუშვილი

## ინტერვიუ

### დემურ მიქაძე: «ჩემი შვილი და ბუთა სხვადასხვა ტიპის ადამიანები არიან...»



გთავაზობთ ინტერვიუს ქალაქ თბილისის პოლიციის უფროსთან დემურ მიქაძესთან, რომელშიც დედაქალაქის „პირველი პოლიციელი“ სხვადასხვა მტკივნეულ, საჭირბოროტო საკითხზე საუბრობს.

რატომ არ აძლევს პოლიცია ლტოლვილებს დედაქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე ვაჭრობის უფლებას?

— თბილისის მთავარი პრობლემაა ბაზარსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გამართული ვაჭრობა. ბევრი მოვაჭრე ამტკიცებს, რომ ლტოლვილია, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ლტოლვილებად ასაღებენ თავს საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულები. მათ მიერ გაჩაღებული ვაჭრობა, ველური და მი-

გაგრძელება მე-2 გვ.

## მართლწესრიგი

### ტრადიციული შეხვედრა

საგზაო პოლიცია ცდილობს, თვალშისაცემი გახადოს წესრიგი რესპუბლიკაში, მაგრამ...

გუშინ საგზაო პოლიციის სამმართველოში ავტოინსპექტორების და მძღოლების ტრადიციული შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე საგზაო პოლიციის ხელმძღვანელობამ ისაუბრა იმ მოსალოდნელ ცვლილებებზე, რომელიც განსაზღვრულია რესპუბლიკის გზებზე წესრიგის დასამყარებლად.

კერძოდ, ითქვა, რომ დაიწყო მუშაობა თბილისის ქუჩების ზედმეტი ტრანსპორტისგან (განსაკუთრებით უსაქმოდ მდგომი ავტობუსებისგან) გასაწმენდად, მათთვის გამოიყო სპეციალური ავტოსადგომები.

დღის წესრიგში დადგა თვითნებური ავტოსადგომებისა და ბენზინგასამართი სადგურების შემცირების საკითხი.

ყველაზე ნიშანდობლივი, რაც შეხვედრაზე ითქვა, ისაა, რომ თუ ადრე ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა ავტოინსპექციის საგუშაგოები და ყველას შეეძლო მანქანის და მისი ტვირთის შემოწმება, ახლა საგუშაგოების რიცხვი 54-დან 34-მდე შემცირდა (ავტოინსპექტორთა რაოდენობის შემცირებასთან ერთად), ხოლო მანქანის შემოწმების უფლება, თუ მძღოლი მოძრაობის წესს არ არღვევს, დარჩათ მხოლოდ გომბორის, ცოდნის, ალგეთის, სიმონეთის, თელეთის, ნატახტარის, წყალწითელის, დარიალის, ოსიაურის, თელეთის, ახალდაბისა და ორლოვკის საგზაო საგუშაგოებს.

გაძლიერებულია კონტროლი ავტომანქანების ტექნიკურ დათვალიერებაზე, მძღოლის მიერ დამცავი ღვედების გამოყენებაზე, მიმართულების მაჩვენებელი ნათურის მუშაობაზე, მინიაფთიაქისა და ცეცხლმქრობის ტარებაზე და ა.შ.

„ღია კარის დღეზე“, როგორც მას უწოდებენ საგზაო პოლიციის თანამშრომლები, დაისვა უამრავი შეკითხვა, რაზეც პასუხი გასცეს პოლიციის ხელმძღვანელებმა. ზოგიერთ კითხვას კი ამომწურავი პასუხი გაეცემა მომავალი თვის 5 რიცხვში, როცა მძღოლები და ავტოინსპექტორები კვლავ შეიკრიბებიან პირისპირ სასაუბროდ.

მაია თორაძე

P.S. შეკრებიდან წამოსულს თვალში მომხვდა დიდუბის ავტოსადგურისა და „დინამოს“ სტადიონის ირგვლივ თავმოყრილი უამრავი ავტობუსი, რომლებიც მართლა ხელს უშლიდნენ მოძრაობას. საკითხავია, მაინც სად გამოუყვეს ამ ავტობუსებს სადგომები, თუკი ისინი ისევ შუა ქუჩაში დგომას ამჯობინებენ?

## ფაქტები და მოვლენები

### ჯამლეთ ბაბილაშვილი რჩება გენერალურ პროკურორად

გუშინ ჯამლეთ ბაბილაშვილი საქართველოს გენერალურ პროკურორად დაამტკიცეს. კენჭისყრის შედეგად ამ გადაწყვეტილების მომხრე აღმოჩნდა 152, წინააღმდეგი 19 დეპუტატი. პროკურატურის პრიორიტეტი უნდა გახდეს ამოცნობისა და ძიების პროცესში მოქალაქეთა კონსტიტუციური დაცვა, — განაცხადა თავის გამოსვლაში ბაბილაშვილმა. მისი თქმით, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფო აპარატში კორუფციის აღმოფხვრას, თვით პროკურატურაში კი უნდა გაგრძელდეს „წმენდის“ პროცესი.

ბაბილაშვილის კანდიდატურის განხილვისას დეპუტატმა ჯანსუღ ჩარკვიანმა განაცხადა, რომ იმედი აქვს, პროკურორი არ შეწყვეტს სანქციების გაცემას, რასაც, შეიძლება, ბევრი დეპუტატი შეეწიროს. როგორც ცნობილია, თავის დროზე ბაბილაშვილმა გასცა რამდენიმე სანქცია დეპუტატთა დასაპატიმრებლად, რომელთაც არ ჰქონდათ მოხსნილი სადეპუტატო იმუნიტეტი.

BGI

### მიტინგი პარლამენტის შენობის წინ

გუშინ დილით პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბნენ „ზვიადის“ პარტიის და სხვა არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, დაახლოებით 80-მდე კაცი, რომლებმაც ჩაატარეს საპროტესტო მიტინგი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და კერძო საკუთრებაში მყოფი მიწების“ კანონპროექტის მიღების წინააღმდეგ. მიტინგზე გამოსულებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული კანონპროექტის ასეთი სახით მიღება დამღუპველია საქართველოსთვის. მათი თქმით, რესპუბლიკას მართავს ანტიეროვნული მთავრობა, დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. როგორც სააგენტოს კორესპონდენტს „ზვიადის“ პარტიიდან აცნობეს, მიტინგი დარბეული იქნა პოლიციისა და „ომონის“ მიერ. დაკავებულია 5 კაცი.

### გვექნება კომპიუტიზირებული რკინიგზა

ბოლო დროს საქართველოს რკინიგზის ცალკეული მონაკვეთები მოსახლეობის მიერ არაერთხელ იქნა გაძარცული. რესპუბლიკის გარეთ გატანილია სპილენძის შემცველობის ასობით კილომეტრი კაბელი.

1992 წლიდან საქართველოს არ მიუღია არც ერთი მაღალი კლასის ვაგონი. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკება დნეპროპეტროვსკელ კოლეგებთან ვაგონების რემონტისა და შესყიდვის თაობაზე. მსოფლიო ბანკმა დეპარტამენტს უკვე გადმოურიცხა 4 მილიონი დოლარი სათადარიგო ნაწილების შესაძენად. დადებულია, აგრეთვე, ხელშეკრულება გერმანულ ფირმა „სიმენს“-თან, რომელიც ასრულებს სარემონტო სამუშაოებს ლოკომოტივების ტექნიკური აღჭურვისა და ბათუმი-ფოთის სარკინიგზო მონაკვეთზე ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით, რაც შესაძლებელს გახდის მომავალში რკინიგზის კომპიუტერულ მართვას.

იპრინდა

კავკასიონი
ოთხშაბათი, 6 მარტი, 1996



№38 (632) 

...ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# ჩემი შვილი და ბუთა სხვადასხვა ტიპის ადამიანები არიან

[illegible]

— დიახ, ეს არაა ჩვენი ერთადერთი ცოდვა. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ საპასპორტო რეჟიმზე, მაგრამ მას მაინც არავინ იცავს. საქართველოს მოსახლეობის ნახევარი თავს ლტოლვილებად ასაღებს და საზიზღარი პროდუქტით, ფალსიფიცირებული სასმელებით და ღმერთმა უწყის, კიდევ რითი ვაჭრობს. ტრიალებს დიდი ფული ჩნდება ბილწი მოთხოვნილებები. ამიტომ თბილისში მომრავლდნენ იაფფასიანი მეძავები, ქურდბაცაცები და თავხედი ხულიგნები. ასეთი სახის დამნაშავეობას ქალაქი ადრე არ იცნობდა — თბილისელები ამაზე მაღლა იდგნენ.

[illegible] გამოსავალი?

გასამკაცრებელია საპასპორტო რეჟიმი და იმედი მაქვს, პოლიცია ამას უახლოეს მომავალში გააკეთებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე თბილისელი ვარ და ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ქალაქმა ცივილიზებული სახე მიიღოს. თბილისი ამას იმსახურებს და მას ეს შეუძლია, უბრალოდ, ქალაქს და ქალაქელებს ცოტა დახმარება ჭირდებათ.

ხალხი, განსაკუთრებით კი ბაზრის [illegible] ამბობენ, რომ თქვენი პოლიციელები რეკეტიორები არიან. მათი [illegible] ფასები, [illegible]?

— რა თქმა უნდა, ამაში სიმართლეს ლომის წილი აქვს. ყველაფერი ხდება შვიდი ათასი პოლიციელიდან, მხოლოდ ათი პროცენტია ძირძველი თბილისელი. დანარჩენები პროვინციიდან ხრიან ჩამოსულები. ესენი არიან პროვინციაში გამდიდრებული ხალხი, რომელთაც თბილისში ბინები იყიდეს და ჩაენერწნენ. დიახ, არიან პოლიციელები, რომლებიც გლეჯს ფულს და პროდუქტებს ართმევენ და გლეხიც იძულებულია, ფასი გაზარდოს.

რას აკეთებთ თქვენ, დანარჩენი პატიოსანი პოლიციელები? უყურებთ, როგორ ძარცვავენ ხალხს?

— მე ბაზრის გამყიდველებს შევპირდი, რომ მათ დასაცავად კაცს გამოვყოფდი. სხვანაირად ჩვენ ვერ დავწევთ ბაზრის ფასებს. საჭიროა კონტროლი.

— კიდევ რა დანაშაულობაში არიან პოლიციელები გარეულნი?

— ყველანაირში, გარდა მკვლელობისა. ცოტა ხნის წინ გაიხსნა ასეთი დანაშაული. ბანდა, რომლის წევრიც ქალაქის სახანძრო დაცვის თანამშრომელი ზაზა სამნიშვილიც იყო, ავტომანქანებს იპარავდა და ოსეთში ჰყიდდა. პოლიციაში, ამ ბოლო დროს, ბევრი შემთხვევითი პირი მოხვდა. ადრე შეუძლებელი იყო მილიციაში სამსახური, თუკი რომელიმე ახლო ნათესავი ნასამართლევი იყო. ახლა კი გვაქვს ფაქტები, როცა პოლიციელი თვითონ მონაწილეობდა ადამიანის მოტაცებაში, რეკეტში, გაუპატიურებაში, მანქანის გატაცებაში.

ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ ღამის კლუბების შესახებ. როგორი დამოკიდებულება აქვს ამ საკითხის მიმართ დედაქალაქის პოლიციას?

— ჩვენი დამოკიდებულება ორგვარია. ერთი მხრივ, სასიამოვნოა, რომ ქალაქში არის ადგილი, სადაც მშვიდად შეიძლება დროის გატარება. მეორე მხრივ, ბევრი კლუბი უზნეო მოვლენათა ბუდე გახდა, რაც მე, როგორც პოლიციელს, ძალზე მაშფოთებს.

რას გულისხმობთ?

— თუნდაც იმას, რაც მე ფილარმონიის შენობაში მდებარე ღამის ბარში ვნახე. ეს ბარი ღამის პირველ საათზე იხსნება და დილამდე მუშაობს. ბარის სტუმრები არიან ბავშვებიც. მე იქ 9 წლის გოგონა ვნახე. ეს შემზარავია. გამიჩნდა კითხვა — ვინ უნდა იზრუნოს ამ ბავშვზე — ბარმენმა თუ პოლიციელმა? რაზე ფიქრობენ ამ ბავშვის მშობლები — ნუთუ არ აინტერესებთ, სად ატარებს ღამეს შვილი?

რა გააკეთეთ ამ შემთხვევის შემდეგ?

— ეს საკითხი მერიის ხელმძღვანელობასთან დავსვი. ღამის ბარები და კლუბები უნდა დაიხუროს მანამ, სანამ მომსახურეობა საჭირო დონეს არ მიაღწევს და სანამ პატარა გოგონები არ შეწყვეტენ იქ სიარულს.

— კიდევ ერთი პრობლემა — მათხოვარი ბავშვები. რა იცით ამის შესახებ?

— ამ ბავშვების უკან კარგად ორგანიზებული მაფია დგას, რომელიც აიძულებს 500-დან 1000-მდე ბავშვს იმათხოვროს. საღამოს მათ ფულს ართმევენ. ბევრ ბავშვს აქვს ტრაფარეტი - „ყრუ-მუნჯი ვარ", „არა მყავს მშობლები". ჩვენ ჩავატარეთ რეიდი და ბავშვები პოლიციაში მივიყვანეთ. საღამოს ჩვენი ეზო მშობლებმა, მეზობლებმა, ნათესავებმა გაავსეს და ტირილით გვთხოვდნენ ბავშვების დაბრუნებას.

— რაში ხედავთ გამოსავალს?

— მხოლოდ პოლიციის ძალებით პრობლემას ვერ გადავჭრით. ამ საქმეში მონაწილეობა ყველამ უნდა მიიღონ: სკოლებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა, საზოგადოებამ, ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა. მაშინ, ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება პრობლემის მოგვარება.

— ქალაქში ბევრი მცირეწლოვანი მეძავია?

— ამასწინათ სიფილისით დაავადებული ორი გოგონა დავაკავეთ. მათ ბევრი დააავადეს თბილისში. ადრე ვენერიულ დისპანსერში მსგავს პირებს იძულებით მკურნალობდნენ. მუშაობდა დაცვა. ახლა დისპანსერს დაცვა აღარ ჰყავს და ავადმყოფები, რომელთაც იქ ვათავსებთ, მეორე დღეს ქუჩაში დასეირნობენ. ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ საავადმყოფოებს არა აქვთ შემოსავალი და დაცვასაც ვერაფერს უხდიან.

— მართალია, რომ წინასწარი დაკავების საკნებში დაკავებულებს სცემენ?

— ასეთი რამ რაიონებში შეიძლება ხდება. არ შეიძლება დანაშაულის გახსნა როზგის საშუალებით. მაგრამ პოლიციასაც ხშირად სნამებენ ცილს. რა თქმა უნდა, პოლიციელი, რომელიც დაკავებულზე ასწევს ხელს, ტყუის, მაგრამ არც დაკავებული არის უმრავლეს შემთხვევაში ანგელოზი — როგორც წესი, ის დამნაშავეა და ყველაფერზე მიდის. ცემა მაინც დაუშვებელია. დანაშაულის გახსნის ბევრი სხვა საშუალება არსებობს.

— ამბობენ, რომ თქვენი შვილი ვერის საძმოს ცნობილი წევრის, ბუთა ქურდოვანიძის მეგობარი იყო და ამის წყალობით, ქურდოვანიძის დაპატიმრების შემდეგ, მის ბინაში ჩატარებული ჩხრეკა უბრალო ფორმალობა იყო. სიმართლეა ყველაფერი ეს?

— სიმართლეა მხოლოდ ის, რომ ბუთა და ჩემი შვილი გიგი, კლასელები იყვნენ. მეგობრობა კი მათ შორის არასდროს ყოფილა. ბუთამ ჯერ კიდევ მე-9 კლასში პირველი მკვლელობა ჩაიდინა. რამდენიმე ხნის შემდეგ — მეორე. ასე რომ, ჩემი შვილი და ბუთა სხვადასხვა ტიპის ადამიანები არიან, განსხვავებული ცხოვრების გზით.

ჩხრეკის შესახებ რას იტყვით?

— ქურდოვანიძის ბინის ჩხრეკის პარალელურად, 69 ადამიანი დავაკავეთ. მე ქალაქის პოლიციის უფროსი ვარ და დიდი მასშტაბის ოპერაციისას არ შემიძლია ყველა იმ ბინაში მისვლა, სადაც ჩხრეკა მიმდინარეობს. ქურდოვანიძის ბინის ჩხრეკა, ვაკის რაიონის პოლიციის მაშინდელმა უფროსმა ალეკო ბუკიამ ჩაატარა. ალმოაჩინეს ცეცხლსასროლი იარაღი. არავითარი ზემოქმედება ჩხრეკის პროცესზე და მის შედეგზე არ მომიხდენია და ვერც მოვახდენდი. ვისაც ამ საქმის დეტალები აინტერესებს, ჩემს შვილს გაესაუბროს, მაშინვე ნათელი გახდება, თუ როგორ განსხვავდებიან ის და ბუთა ერთმანეთისგან.

BGI

პოზიცია

# ისევ თურქული უნივერსიტეტის შესახებ

გასულ კვირას „კავკასიონში" დაიბეჭდა წერილების ციკლი, რომელშიც საუბარი იყო ბაზალეთის ტბის პირას თურქული უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. საგულისხმოა, რომ ამგვარი დიდი მნიშვნელობის მოვლენა — უცხოენოვანი უნივერსიტეტის გახსნა, ფაქტობრივად, საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა, ამის დასტურია ის გამოხმაურება, რომელიც ხსენებულ პუბლიკაციებს მოჰყვა. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს ისტორიაში ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის შეფასება არ შეიძლება ცალმხრივად და აუცილებლად მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, რედაქცია მომავალშიც გააგრძელებს ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრების გამოქვეყნებას.

„კავკასიონი"

## „ვართ კი იმ დონის, რომ უცხოელები მოვიზიდოთ?!"

ოთარ ჯაფარიძე — პროფესორი, აკადემიკოსი, თსუ არქეოლოგიის კათედრის გამგე:

მართალი გითხრათ, არ ვიცი, როგორ შევხედო ამ პრობლემას. რომ ვიცოდე, რა ხასიათის უნივერსიტეტი იქნება, კიდევ ვიტყოდი რამეს. თავისთავად, არა მგონია, ისეთი რამე იყოს, რომლის წინააღმდეგაც უნდა ვიყოთ განწყობილი. არ ვიცი, რას ფიქრობენ კადრების შესახებ, ვის ბაზაზე ჩამოყალიბდება. პირადად ჩემი სპეციალობის თვალსაზრისით, ვფიქრობ, რომ, ამ უნივერსიტეტს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. თურქეთი ჩვენთვის არქეოლოგიურად ძალიან საინტერესოა, ჰყავთ კარგი სპეციალისტები. გაიზრდებიან ახალგაზრდები, რომლებიც გაეცნობიან იმ კულტურას. ჩვენც გვყავს ძალები, რომლებიც შეძლებენ იქ მუშაობას. რაც შეეხება კონტინგენტს, მე არ ვიცი, ვინ ისწავლის აქ. ვართ კი იმ დონის, რომ უცხოელი ახალგაზრდები მოვიზიდოთ? ვინმე რომ მოიზიდო, ჯერ სახელი უნდა მოიპოვო. მე მოვისმინე ტელევიზორში მათი რექტორის გამოსვლა, მაგრამ, მე მგონი, ძალიან ადვილად უყურებს ამ საქმეს.

ისე, მართალი გითხრათ, ბაზალეთი მშვენიერი მხარეა და რა ვიცი, ღირს მისი ასე გამეტება? ძალიან მენანება...

## „ექსპანსია... განათლების სისტემითაც ხდება"

ლევან სანიკიძე — მწერალი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

მეგობრობა ყველასთან გვინდა, მაგრამ, ასე ერთბაშად, „ექს აბრუპტო", როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ, ამის გადაწყვეტა არ შეიძლება. არ მინდა, მაინცდამაინც, სიტყვა ექსპანსია ვიხმარო, მაგრამ, რაც ადრე იარაღით ხდებოდა, ახლა ფულით, ვაჭრობით, კომერციით და, თქვენ წარმოიდგინეთ, განათლების სისტემითაც ხდება. ჩემი აზრით, აქ დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. ხალხს არაფერს ეკითხებიან, ასე არ შეიძლება.

სხვა რომ არაფერი, დიდი მნიშვნელობა აქვს ტრადიციასაც. ბაზალეთური ამბები შეიძლება ვინმეს მხოლოდ პოეზიის და მისტიკის სამყაროდ მოეჩვენოს, მაგრამ ამასაც უნდა გაეწიოს ანგარიში.

## „ასე ხელაღებით უცხოური სასწავლებლების გახსნა არ შეიძლება"

ვახტანგ სართანია — პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი:

ე.წ. „შავიზღვისპირა ქვეყნების უნივერსიტეტის მიმართ ჩემი დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია. მიმაჩნია, რომ თუ არსებულ უმაღლეს სასწავლებლებს უფრო გავაძლიერებთ, ნებისმიერი სპეციალისტის მომზადებისთვის კარგი ბაზის შექმნა შეიძლება. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები უნდა ავეჭურვოთ უმაღლეს დონეზე, გავაძლიეროთ უცხო ენების სწავლება. ახალი უნივერსიტეტის გახსნა მოსახლეობის განსჯის საგანი უნდა ყოფილიყო, ასე ხელაღებით უცხოური სასწავლებლების გახსნა არ შეიძლება.

საჭიროა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების გადახალისება. სახელმწიფომ, გაჭირვების მიუხედავად, მაქსიმუმი უნდა გააკეთოს, უმაღლესი სასწავლებლებიც შევეშველებით ფასიანი სექტორებით და სხვადასხვა გრანტების მოპოვებით. ჩვენ უკვე მოვიგეთ „ტემპუს ტასისის" პირველი ეტაპი, რომელზეც ორმოცდაათი ათასი ეკიუ იყო გამოყოფილი. ჩამოვიტანეთ ახალი პროგრამები, შევიძინეთ ტექნიკა, ლექციების წასაკითხად ჩამოდიან უცხოელი მეცნიერები, ქართველი მეცნიერები მიდიან ევროპაში, მოხდება სტუდენტების გაცვლა. მეორე ეტაპი თუ მოვიგეთ, ერთ მილიონ ეკიუზეა ლაპარაკი. ჯობს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები გავაძლიეროთ, ვიდრე უცხოურები გავხსნათ. ბევრი საინტერესო მოდელის გაკეთება შეიძლება. განა ყველაფერი, რაც ამერიკული, ინგლისური, გერმანული ან თურქულია, ყველაზე ოპტიმალურად უნდა მივიჩნიოთ? უსაშველო არაფერი გვჭირს. თუ მოვინდომებთ, შევძლებთ, რომ ჩვენი სამეცნიერო-სასწავლო ცენტრები გავაძლიეროთ.

## „მე უფრო... იდეოლოგიურ საფრთხეს ვხედავ"

ზურაბ სარჯველაძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის პრორექტორი:

მე არ შემიძლია ახალი უმაღლესი სასწავლებლის წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ ეს ქართველი ხალხის, ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი საზოგადოების ინტერესებში უნდა იყოს. 1918 წელს აკაკი შანიძემ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც სასტიკად გაილაშქრა თბილისში რუსული უნივერსიტეტის გახსნის წინააღმდეგ, რადგან იგი ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიიჩნია. მიუხედავად იმისა, რომ აკაკი შანიძეს უმაღლესი განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული და რუსული მეცნიერებას და კულტურას დიდად აფასებდა.

მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ყოველ ქუჩაზე იხსნება უმაღლესი სასწავლებელი. მითუმეტეს, დუშეთში საერთოდ არ არის უნივერსიტეტი საჭირო. ჩვენი ახალგაზრდობისთვის აუცილებელია უცხო ენების კარგი შესწავლა, მაგრამ პრიორიტეტი ქართულ ენას და ქართულ მეცნიერებას უნდა მიენიჭოს.

საქართველოში ნამდვილი უნივერსიტეტი, რომელიც განათლების ყველა სფეროს მოიცავს, არც არის. საჭიროა ჩვენი სასწავლებლების გამსხვილება, მათში ფასიანი სექტორების გაძლიერება. მაშინ ჩვენ შეგვეძლება უცხოეთიდანაც მოვიწვიოთ სპეციალისტები და, თუ მსურველები იქნებიან, უცხოელი სტუდენტების მიღებასაც შევძლებთ. თუკი ბაზალეთზე გახსნილ უნივერსიტეტში იქნება მაღალი ანაზღაურება, ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების ნაწილი შეეცდება იქ გადასვლას, რაც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების დონეზე უარყოფით გავლენას მოახდენს. რაც შეეხება კონკურენციას, იგი ჩვენს სასწავლებლებს შორის უკვე არსებობს. დადგა დრო, როცა ის სასწავლებელი, რომელსაც საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლები არ ეყოლება, კონტიგენტს ვერ დააკომპლექტებს.

ბაზალეთის უნივერსიტეტის სახით დემოგრაფიული და საგანმანათლებლო ექსპანსიის ნაკლებად მეშინია, რაღაც მექანიზმი უნდა იყოს, რაც ამ საკითხებს დაარეგულირებს. მე უფრო იდეოლოგიურ, ეთიკურ, ზნეობრივ საფრთხეს ვხედავ. რამდენად მისაღები იქნება ჩვენთვის ის იდეოლოგია, და რელიგია, რომელიც ჩამოსული სტუდენტების და მასწავლებლების ნაწილს მოჰყვება? განათლების ტრადიციები ჩვენთან სხვაა. მათთან სხვა, ამის შეთავსება ადვილი არ არის.

## „საქართველოს დაკაბალების კიდევ ერთ გზას მხარს ვერ დავუჭერ"

რევაზ მიშველაძე — მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მიმაჩნია, რომ ეს არის დივერსია საქართველოს ეროვნული პოლიტიკის, ქართული ეროვნული უმაღლესი განათლების წინააღმდეგ. საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობს რუსული უნივერსიტეტი, ეროვნულმა მოძრაობამ არ დართო ამის ნება. როგორ, თურქეთი თავის ქვეყანაში ვერ ხსნის უნივერსიტეტს? ან კიდევ, ჯერ მიწის კანონი არ მიგვიღია და როგორ აიღეს მიწა იჯარით? თუ თურქი სტუდენტები უნდა შემოვიდნენ სასწავლებლად, რაღა თურქულ უნივერსიტეტში უნდა ისწავლონ? გავუხსნით ჩვენს სასწავლებლებში სპეციალურ ფაკულტეტებს.

მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ არა მხოლოდ თურქული, არამედ ნებისმიერი სხვა ქვეყნისა და უცხოენოვანი უნივერსიტეტის გახსნისა. ოდესმე, შეიძლება, ქართველმა პროფესორმა სხვანაირად იფიქროს, მეც სხვანაირად გიპასუხოთ, მაგრამ დღეს, როცა ჩვენი განათლება და მისი რეფორმა, ჩვენი ეკონომიკა ასეთ დღეშია, ამ უნივერსიტეტის სახით საქართველოს დაკაბალების კიდევ ერთ გზას მხარს ვერ დავუჭერ.

## „ეს არის საქართველოს და ქართველების მორიგი გაყიდვა"

იოსებ კვიციანი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ლიაცის ქვეშ მუზეუმის დირექტორი:

ეს არის საქართველოს და ქართველების მორიგი გაყიდვა. შემდეგ სომხეთი მოითხოვს მესხეთ-ჯავახეთში უნივერსიტეტის გახსნას, შემდეგ სხვა ვინმე. მე ინტერნაციონალისტი ვარ, მაგრამ ეს ყველანაირ საზღვარს გადაცილებული საქმეა.

გაგრძელება იქ—3 გვ.

# ახალი საზღვარგარეთი

## «სიცოცხლის დერეფანი» სერნოვოდსკში

რუსეთის ფედერალური ძალები აგრძელებენ ჩეჩენი მებრძოლებისგან სერნოვოდსკის გაწმენდის ოპერაციას. იტარ-ტასის ცნობით, 15 ათასმა ადგილობრივმა მშვიდობიანმა მცხოვრებმა უკვე დატოვა სერნოვოდსკი და დასავლეთით, დასახლება ორჯონიკიძევსკაიაში დაბინავდა. რაიონის ადმინისტრაცია მოლაპარაკებას აწარმოებს ფედერალური ჯარების ხელმძღვანელობასთან, რათა კვლავ გაიხსნას დერეფანი და დანარჩენ მოსახლეობასაც მიეცეს საბრძოლო ადგილების დატოვების საშუალება. მითუმეტეს, რომ მსხვერპლი მათ შორის დღითი დღე მატულობს — გუშინ 3 ქალი ნაღმზე აფეთქდა, მოსახლეობა კი პანიკაშია. სერნოვოდსკში, პროგრამა „ვესტის" ინფორმაციით, არ უშვებენ ჟურნალისტებს და სამაშველო რაზმს. პროგრამა „ნოვოსტი" კი იუწყება, რომ სერნოვოდსკში 12 დღის განმავლობაში მოქმედებდა უსაფრთხო დერეფანი, რომლის საშუალებითაც მოსახლეობის ნაწილმა რაიონი დატოვა. ევაკუაციისთვის საჭირო ტრანსპორტი გამოყვეს ინგუშეთის პრეზიდენტმა რუსლან აუშევმა, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებმა: „წითელი ჯვარი" და „ექიმები საზღვრების გარეშე". მოგვიანებით, ეს დერეფანი დაიხურა, გუშინ, დილის 10 საათზე, იგი კვლავ გაიხსნა.

ამასობაში, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა დაამთავრა ხამუშაო ვიზიტი მოზდოკსა და გროზნოში, შეაჯამა მისი შედეგები და განაცხადა: „ჩვენ არ ვაპირებთ, დიდხანს დავტოვოთ ჯარები ჩეჩნეთში. ისინი უნდა დაუბრუნდნენ თავდაპირველი დისლოკაციის ადგილებს, განლაგდნენ კომპაქტურად და საბრძოლო ოპერაციები განახორციელონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარება დასჭირდება".

## მემარცხენეთა კონსოლიდაცია რუსეთში

რუსეთში შეიქმნა ახალი წინასაარჩევნო ბლოკი, რომელიც 16 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს დაუჭერს რუსი კომუნისტების ლიდერის გენადი ზიუგანოვის კანდიდატურას. ბლოკში მემარცხენე მიმართულების 20-ზე მეტი პარტია და საზოგადოებრივი მოძრაობა გაერთიანდა. მათ შორის არიან: ორგანიზაცია „ვლასტ ნაროდუ" — ლიდერი ნიკოლოზ რიჟკოვი, აგრარული პარტია — ლიდერი მიხეილ ლაპშინი, აგრეთვე აგრარული მრეწველობის მუშათა პროფკავშირი, კომკავშირული ორგანიზაცია და სხვა.

როგორც გენადი ზიუგანოვმა აღნიშნა, ბლოკი თანდათან გაფართოვდება. წინასაარჩევნო პლატფორმა ამჟამად მუშავდება ანალიტიკოსების მიერ და მარტის შუა რიცხვებში გამოქვეყნდება.

## რადუევი მძიმედაა დაჭრილი

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ გუშინ სოფელ ურუს-მარტანის მიდამოებში ყუმბარმტყორცნის ცეცხლის შედეგად თავის არეში მძიმედ დაიჭრა ყიზლარისა და პერვომაისკოეს ოპერაციების ხელმძღვანელი სალმან რადუევი. იგი მოთავსებულია საავადმყოფოში.

იგივე წყაროები იუწყებიან, რომ რადუევს ძალზე შემოსწყრნენ დუდაევის საველე მეთაურები, მათ შორის, შამილ ბასაევიც, რომელმაც რადუევი პერვომაისკოეს ალყიდან იხსნა. დუდაევის გარემოცვას აქვს ეჭვი, რომ რადუევმა მიითვისა იჩქერიის პრეზიდენტის მიერ ყიზლარისა და პერვომაისკოეს ოპერაციებისთვის გამოყოფილი 1,5 მილიონი დოლარი.

## სლავები ბლომად გადაიხდიან. თუ...

როგორც ცნობილია, რუსეთის და ბელარუსის პრეზიდენტების მოსკოვში ამასწინანდელი შეხვედრის დროს წარმოიშვა იდეა ლიტვის გვერდის ავლით — პოლონეთსა და ბელარუსზე გამავალი სატრანსპორტო კორიდორის შექმნის შესახებ, რომელსაც რუსეთი „მცირე მიწას"-თან — კალინინგრადის ოლქთან უნდა დაეკავშირებინა. მაგრამ პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრე კვასნიევსკი ამ წინადადებას ცივად შეხვდა. მისი თქმით, ამ პროექტის ხორცშესხმაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

პოლონელთა აზრით, პროექტი მიუღებელია, უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიური თვალსაზრისით. ამავე დროს რუსეთის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირისგან გამოსული ინფორმაციის თანახმად, პოლონეთისგან საბოლოო უარის შემთხვევაში, რუსეთი და ბელარუსი თხოვნით მიმართავენ ლიტვას მის ტერიტორიაზე ავტომაგისტრალის მშენებლობის შესახებ. წყარო იმასაც აღნიშნავს, რომ მოსკოვს და მინსკს კარგად ესმით ვარშავის და ვილნიუსის სამართლიანი შეშფოთებისა და მზად არიან „კარგად აანაზღაურონ" გზის მშენებლობა და მისი ექსპლუატაცია.

## ნიკოლაევი — შუა აზიაში

რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის [illegible] ანდრეი ნიკოლაევი შუა აზიაში იმყოფება. მას მოლაპარაკებები აქვს ტაჯიკე[illegible] გიზეთის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებთან. განიხილავენ [illegible] ბლიკის სასაზღვრო სამსახურების ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს. დუშანბე[illegible] ხელი მოეწერა ოთხ დოკუმენტს ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვრის ერთობლივი დაცვის [illegible]. იმსჯელეს იმ ფინანსურ დახმარებაზე, რომელიც რუსეთმა უნდა აღმოუჩინოს ტაჯიკეთს სასაზღვრო სამსახურის შექმნის მიზნით.

# მსოფლიო

## ახალი ტრაგედია «აღთქმულ მიწაზე»



იასირ არაფატი

3 მარტს იერუსალიმში განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ პალესტინელთა სამხედრო დაჯგუფება „ჰამასმა" თითქოს „პირობა დადო", რომ შეწყვეტდა ტერორისტულ აქტებს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, ისრაელშიც მიიღეს რიგი გადაწყვეტილებებისა და... უეცრად, კვლავ აფეთქება თელ-ავივის სავაჭრო ცენტრში, სადაც ყოველთვის უამრავი ხალხი ტრიალებს. აფეთქების შედეგად დაიღუპა დაახლოებით 14 (ამფეთქებლის ჩათვლით) და დაშავდა 100-ზე მეტი ადამიანი. პრემიერი შიმონ პერესი ხშირად აცხადებდა, რომ ისრაელი დაუნდობლად იბრძოლებდა ტერორისტთა წინააღმდეგ, მაგრამ სინამდვილეში ქვეყანა ვერც ასწრებს ერთი აფეთქების „მოგერიებას", რომ მას მეორე „მოსდევს".

პალესტინელებთან სამშვიდობო მოლაპარაკებაც, ფაქტობრივად, ტერორიზმის შესაჩერებლად იყო გამიზნული და არა მისი ესკალაციისთვის.

შიმონ პერესმა ოფიციალურად გამოაცხადა ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური შტაბის შექმნის თაობაზე, რომელიც შეუზღუდავი უფლებებით ისარგებლებს ისლამისტთა დაჯგუფებასთან ბრძოლისას და შესაძლებლობას მისცემს ისრაელის მხარეს, გააკონტროლოს მდგომარეობა.

ისრაელის ოპოზიციური პარტია „ლიკუდის" ლიდერს, ბენიამინ ნათანიაჰუს (რომელიც კარსმომდგარი არჩევნების შემდეგ, შესაძლოა, ისრაელის პრემიერმინისტრადაც მოგვევლინოს), კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ რეალურ გზად მიაჩნია ტერორისტებთან ყოველგვარი კომპრომისების გარეშე ბრძოლა.



ბენიამინ ნათანიაჰუ

პალესტინის პოლიციამ დააპატიმრა პიროვნება, რომელმაც, მათი თქმით, მოახდინა სამი აფეთქების კოორდინაცია. ექვმიტანილი მუჰამედ აბდულ ბაიდეი კვირა ღამით დააპატიმრეს. ასე რომ, თელ-ავივის აფეთქებაში მისი რაიმე შესაძლო „წვლილის" შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი.

ისრაელში მდგომარეობის სულ უფრო და უფრო გაუარესებით შეშფოთებულია აშშ-ც. პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა: „ჩვენ ყოველთვის გავუწევთ დახმარებას მშვიდობისათვის მებრძოლთ... არაფატსაც სურს მშვიდობა, მაგრამ ყველა საშუალებას ვერ იყენებს ტერორიზმის აღმოსაფხვრელად". კლინტონი ტელეფონით დაუკავშირდა შიმონ პერესს და თანაგრძნობა გამოუცხადა მომხდართან დაკავშირებით.

აშშ სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა შეწყვიტა ვიზიტი საზღვარგარეთ და მოიწვია პრეზიდენტის პირად მრჩეველთა სხდომა, რომელზეც განიხილებოდა პრეზიდენტისთვის წარსადგენი კონფლიქტის მოწესრიგების რამდენიმე ვარიანტი. ბილ კლინტონი, ალბათ, რაიმე კონკრეტულ ქმედებამდე გაეცნობა მათ და აარჩევს, მისი აზრით, ყველაზე უფრო მისაღებს.

ტერაქტების გამო ისრაელ-სირიის სამშვიდობო მოლაპარაკებებიც ჩიხში შევიდა, მაგრამ როგორც კლინტონი ამბობს, „ტერორიზმს მშვიდობის განადგურების უფლება არ უნდა მისცენ". ნათელია, რომ სამშვიდობო პროცესი ამოვარდა კალაპოტიდან, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენი ხნით.

მოამზადა

ნინო ვიბლიანმა

6 მარტი (ძვ. 21 თებერვალი)

# ხსენება წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ევსტათი ანტიოქიის მთავარეპისკოპოსისა

# წმინდა ევსტათი ანტიოქიელი — საქართველოს ეკლესიის მაკურთხეველი

სვეტიცხოვლის ტაძარმა შემოგვინახა ფრესკა, რომელზეც ერთმანეთის პირისპირ გამოსახულნი არიან: ხელმარცხნივ — გვირგვინოსანი წყვილი, მეფე-დედოფალი, ხელმარჯვნივ — სამღვდელონი, რომელთაგან დაწინაურებულს მდიდრული სამღვდელო შესამოსელი მოსავს. იგი გადასცემს წიგნს გვირგვინოსანს. აღბეჭდილია ის წამი, როცა სასულიერო პირს ჯერ არ გადაუცია წიგნი მეფისთვის და მეფეს ჯერ კიდევ არ მიუღია წიგნი მისი ხელიდან. გვირგვინოსანი მეფე მირიანია, მის გვერდით — ნანა დედოფალი. სასულიერო პირი — სხვა არავინაა, თუ არა წმინდა ევსტათი ანტიოქიელი, ანუ მთავარეპისკოპოსი ანტიოქიისა, რომელმაც, გადმოცემის თანახმად, აკურთხა ახლადმოქცეული ქართლის ეკლესიები და სამღვდელო იერარქია დააწესა.

წმინდა ევსტათი ანტიოქიის ეპისკოპოსზე მწირი ცნობებია შემორჩენილი. არც წელი მისი დაბადებისა, არც სოციალური მდგომარეობა მისი მშობლებისა, არც ის, თუ სად მიიღო მან განათლება, არ არის ცნობილი, და, საეჭვოა, ოდესმე ცნობილი გახდეს. თუმცა იმ მცირედის მიხედვით, რომელიც შემორჩენილია მისი სახელით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის ქრისტიანობის დამაფუძნებელ IV საუკუნის I ნახევრის წმიდა მამათა შორის უგანათლებულესი, ადამიანი იყო. ნეტარი იერონიმუსი, რომლის დროსაც კიდევ შეეძლო ადამიანს ხელთ ჰქონოდა წმინდა ევსტათის თხზულებები, წერდა, რომ მის (და მის დროინდელ მამათა) ნაწერებში იმდენი ფილოსოფიური მოძღვრება და აზრია დამოწმებული, რომ არ იცი, რა გაგიკვირდეს, საერო ცოდნა ავტორისა, თუ მისი ღრმა წვდომა წმიდა წერილში. თავისი ფართო განათლებით, სიბრძნით, ღვთისმოსაობით, მტკიცე მართლმადიდებელი რწმენით, მჭევრმეტყველებით, წმინდა ევსტათი ანცვიფრებდა თავის თანამედროვეებს.

ის იყო პამფილიელი, სიდი ყოფილა მისი სამშობლო ქალაქი, როგორც ნეტარი იერონიმუსი გვაუწყებს მოკლე ცნობაში ("გამოჩენილ ადამიანთა შესახებ"), პამფილია ერთი მცირე მხარეა მცირე აზიის სამხრეთით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. აქ არაერთხელ მოუცურავს თავის სამისიონერო გზაზე პავლე მოციქულს, უქადაგია მის ქალაქებში — პერგასი და სხვაგან. მაგრამ სიდი არსად არის ნახსენები, მისი ადგილმდებარეობაც უცნობია. არც ის ვიცით, რა ტომის ხალხი სახლობდა პამფილიაში. ნეტარი იერონიმუსისავე ცნობით, წმინდა ევსტათი ვიდრე ანტიოქიის მთავარეპისკოპოსი გახდებოდა, სირიაში ბერიის ეკლესიას განაგებდა. ერთნი წერენ, თითქოს ის ნიკეაში შეკრებილ მამებს განეწესებინოთ ანტიოქიის მწყემსმთავრად, მაგრამ ეს არ არის მართალი: სწორედ ნიკეის კრებამ თავისი დადგენილებით აკრძალა ეპისკოპოსთა, პრესვიტერთა და დიაკონთა გადანაცვლება ერთი ეკლესიიდან მეორეში. სწორია ის ცნობა, რომელიც გვაუწყებს, რომ ბერიის ეპისკოპოსი წმინდა ევსტათი სირიის ეპისკოპოსებმა ანტიოქიის სამღვდელოებისა და მრევლის მონაწილეობით აირჩიეს ანტიოქიის კათედრაზე. ეს აქტი წმინდა ევსტათის მნიშვნელოვნებას მოწმობს — კარგა ხნის დაქვრივებული საყდარი ანტიოქიისა ღირსეულ მღვდელმთავარს ელოდა. ნიკეის მსოფლიო კრებაზე (325 წ.) ის უკვე ანტიოქიის მთავარ ეპისკოპოსად მონაწილეობს იქ შეკრებილ 318 მამათა შორის.

წმინდა ათანასე ალექსანდრიელი, წმ.ათანასე დიდად წოდებული, მას „აღმსარებლად" იხსენიებს.

„აღმსარებლობა" განსაკუთრებული სახე იყო ქრისტიანის ღვაწლისა დევნილებათა ხანაში. აღმსარებელი ეწოდებოდა იმ შეუპოვარ ქრისტიანს, რომელიც მიუხედავად სიკვდილის საშიშროებისა მდევნელთა მხრიდან, საჯაროდ აღიარებდა თავის რწმენას ქრისტეში, ახორციელებდა რა თავისი სიცოცხლის გადამწყვეტ წუთებში ქრისტეს სიტყვებს, თქმულს ათორმეტთა მიმართ: „ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემის ზეცათასა" (მ.10,32). ოღონდ აღმსარებელი არ კვდება მონამეობრივი სიკვდილით — ის ცოცხალი რჩება კვლავ უფლის სადიდებლად. ამით განსხვავდება აღმსარებელი მოწამისგან.

წმინდა ათანასე დიდი „აღმსარებელს" უწოდებს წმინდა ევსტათის, თუმცა არ არის ცნობილი მისი აღმსარებლობითი ღვაწლი დევნილების ხანაში. მაგრამ დევნილების შემდეგაც, ყველა საუკუნეში, ქრისტიანს ეძლეოდა შესაძლებლობა გამოეჩინა ერთგულება ქრისტესადმი, ყოფილიყო მზად აღმსარებლობისთვის. როგორ შეიძლება ეს გამოხატულიყო წმინდა ევსტათის შემთხვევაში? ათანასე დიდი აშკარად გულისხმობს მის აღმსარებლობაში შეუპოვარ და უკომპრომისო ბრძოლას არიანული მწვალებლობის წინააღმდეგ, იმ ცრუმოძღვრებისა, რომელიც წმინდა იოანე ოქროპირის თქმით, „გადამდები სენივით წამოვიდა ეგვიპტის ქვეყნიდან, გზად გაიარა ქალაქები და ანტიოქიაში შემოიჭრა"; რომელიც უარყოფდა ქრისტეს თანაარსობას მამა-ღმერთთან და აცხადებდა მას შექმნილად, და არა შობილად უწინარეს საუკუნეთა. წმინდა ევსტათი ერთ-ერთი პირველი იყო იმათგან, ვინც კედლად დაუდგა ამ ტალღას, რომელიც ნგრევით ემუქრებოდა ქრისტეს ეკლესიას და ის იცავდა არა მხოლოდ თავის სამწყსოს ანტიოქიაში, სადაც პირველად ეწოდათ ქრისტეს მორწმუნეებს ქრისტიანები (საქ. 11,26), არამედ თავის მოვალეობად რაცხდა მწვალებელთა ბოროტი გავლენისგან დაეფარა მთელი საქრისტიანო, სადამდისაც კი მისწვდებოდა მისი მაკურთხეველი ხელი და სიტყვა. ეს ანტიოქიელი მწყემსმთავრის ვალიც იყო. ანტიოქია იყო შუაგული მთელი აღმოსავლეთის ეკლესიისა. მისი კულიერი ავტორიტეტი შორს სცდებოდა იმ საზღვრებს, რომლებიც იურისდიქციით იყო შემოწერილი მის გარშემო. მისი ხმა ხწვდებოდა მთელს მცირე აზიას, პონტოს, სომხეთს, იბერიას, შუამდინარეთს... წმინდა იოანე ოქროპირი წერდა წმინდა ევსტათიზე, რომ „იგი ზრუნავდა არა მხოლოდ ერთ ეკლესიაზე, რომელიც მას წმიდა სულმა ჩააბარა დასამწყემსად, არამედ მთელს ეკლესიაზე მსოფლიოში..." „თუკი აღვავლენთ ლოცვებს მსოფლიო ეკლესიისთვის, მაშინ ზრუნვის გამოჩენაც გვმართებს მთლიანად მასზე", გვამცნობს წმინდა ევსტათის ეკლესიოლოგიურ მრწამსს მისი ნაწერებიდან შემორჩენილი ფრაგმენტი.

მართალია, ნიკეის კრებაზე წმინდა ევსტათისა და ალექსანდრიელ სამღვდელოთა (ალექსანდრე ალექსანდრიელისა და ათანასე დიაკონის) მეცადინეობით მიღწეულ იქნა ჭეშმარიტი სარწმუნოების დამტკიცება და არიოსის შერჩენება, მაგრამ ხუთიოდე წლის შემდეგ კვლავ იმძლავრეს არიანელებმა. და კვლავ წმინდა ევსტათი აღმოჩნდა პირველი ანტიოქიელ ეპისკოპოსთა შორის, რომელიც წინ აღუდგა მათ საქმით. როგორც წმინდა ათანასე დიდი იხსენებდა მოგვიანებით, „სძულდა არიანელთა მწვალებლობა და არ იწყნარებდა ეკლესიაში არიოზის მიმდევრებს", და სიტყვით — მისმა თარგმანებამ იგავისა ("უფალმა დამამტკიცა მე დასაბამად გზათა მისთა", 8,22) ნიადაგი გამოაცალა არიანელთა მცდელობას, რომლებიც ამ იგავს ქრისტეს, ღვთის ძის, ქმნადობის დასასაბუთებლად იყენებდნენ. რაკი ამ ახალ პირობებში მათ არ შეეძლოთ აშკარად გაელაშქრათ ნიკეის დოგმატების, განსაკუთრებით, მრწამსის სიმბოლოს წინააღმდეგ, რადგან ის იმპერატორის ბეჭდით იყო დამტკიცებული, ისინი შეეცადნენ ცილისმწამებლური ხმების დაყრით შეებღალათ მართლმადიდებელ მღვდელმთავართა და მღვდელთა ავტორიტეტი უბრალო ხალხში, რათა ადვილი ყოფილიყო მათი მოშორება. ამ არიანული ჯოჯოხეთური პოლიტიკის მსხვერპლი შეიქნა წმინდა ევსტათი ანტიოქიელი. წმინდა ათანასე დიდი ამგვარად გვამცნობს მისი ანტიოქიიდან განდევნის ამბავს: „... მას ცილი დასწამეს კონსტანტინე მეფის წინაშე, თითქოს მეფის დედისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინოს. დაუყოვნებლივ იქნა განდევნილი და მასთან ერთად განიდევნა ბევრი მღვდელი და დიაკონი..." შესაძლოა, ანტიოქიელ მთავარეპისკოპოსს მართლაც მკაცრი სიტყვები გამოეთქვა ელენე დედოფლის მიმართ — მწყემსმთავარს მოპოვებული ჰქონდა ამის უფლება, მაგრამ მის მტრებს სათადარიგოდ სხვა ბრალდებაც ჰქონდათ: შესწამეს საბელიანური ერესი, რომლის წინააღმდეგაც თავად ილაშქრებდა და ის განდევნეს თრაკიაში. „ანტიოქია მისტიროდა აღმსარებელსა და მართლმადიდებლობაში მტკიცე წმინდა ევსტათის..." იხსენებდა შემდგომ ამ ფაქტს წმინდა ათანასე დიდი, მისი უმცროსი თანამდგომი ნიკეის ხანიდან.

ეს მოხდა 330 წელს.

დევნილებაში მოხვდა მღვდელმთავარი, რომელიც, როგორც გადმოსცემენ, იმპერატორ კონსტანტინეს ხელმარჯვნივ იჯდა ნიკეის კრებაზე; რომელსაც მიუმართავს მისასალმებელი სიტყვით ქრისტიანთა მხსნელი ბასილევსისთვის; ღვთისმეტყველი,რომელიც ნიკეის კრებაზე ალექსანდრე ალექსანდრიელთან და ათანასე დიაკონთან ერთად წინამძღოლობდა სამღვდელოთა იმ მცირერიცხოვან დასს, რომელსაც ერთადერთს რეალურად შეეძლო და კიდეც შეძლო დოგმატურად დაპირისპირებოდა არიანელთა მწვალებლობას.

წმინდა ევსტათის აღსრულების წლად 337 წელია მიჩნეული, იმპერატორ კონსტანტინეს გარდაცვალების წელი. ამბობდნენ, რომ იმპერატორს სიკვდილის წინ სინანული გამოუთქვამს მისი გადასახლების გამო და თითქოს მის ბაგეებს მისი დაბრუნების ანდერძი დასცდენია.

იმავე წელს კონსტანტინეს მემკვიდრეებმა თავ-თავიანთ სამწყსოებში დააბრუნეს გადასახლებული ეპისკოპოსები, მაგრამ მათ შორის ვერ ვხედავთ წმინდა ევსტათის ანტიოქიის საყდარში დაბრუნებულს. ანტიოქიას მხოლოდ მისი ნეშტი, ან უკვე როგორც წმინდანისა, დაუბრუნდა მოგვიანებით, 482 წელს. მისი მრავალრიცხოვანი ნაწერებიდან ბევრი უკვალოდ არის დაკარგული, უმრავლესობა კი ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტების სახით შემორჩა ("ექვსთა დღეთა", „ლაზარეს სერობისთვის და დათა მისთა მარიამისა და მართასათვის", „მელქისედეკისათვის", „სამშვინველისათვის", იგავთა წიგნის თარგმანებანი...).

ქართული საეკლესიო ტრადიციით, რომელმაც ასახვა' ჰპოვა XI ს-ში შედგენილ „წმინდა ნინოს ცხოვრებაში" ანტიოქიის ეპისკოპოსი თავად კონსტანტინე იმპერატორს წარმოუგზავნია საქართველოში. წმინდა ევსტათი ანტიოქიელი აქ დახასიათებულია, როგორც კაცი დიდად პატივცემული, სარწმუნ[illegible], სიბრძნითა და სათნო ცხოვრებით გამშვენებული, რომელმაც ნიკეას კრებაზე დაამტკიცა მართალი სარწმუნოება და გააბათილა ქრისტეს ბუნების განმკვეთელი მწვალებლობა.

ანტიოქიის ეპისკოპოსს დიდი პატივით დახვდრიან მეფე მირიანი და მთავარნი, ასევე წმინდა ნინოც, რომელმაც მისგან მიიღო კურთხევა და ელენე დედოფლისგან მოწერილი წერილი, სადაც დედოფალი მას მახარებლად და მოციქულად იხსენიებდა. მასვე ჩამოუტანია ახლადმოქცეულ ქვეყანაში წმიდა რელიკვიები — „ძელი ცხოველი" (ქრისტეს ჯვრის ნაწილი), ხატები მაცხოვრისა და ღვთისმშობლისა. ანტიოქიის ეპისკოპოსისგან მიიღეს ჯერ კურთხევა და მერე ნათლისღება მეფემ, დედოფალმა და მთელმა ერმა. ამის შემდეგ მან აკურთხა პირველაგებული ეკლესია და ხელი დაასხა პირველ ეპისკოპოსს საქართველოში — იოანეს, აკურთხა მღვდლები და დიაკვნები, დამოძღვრა მეფე და ერი ქრისტიანული სწავლებით და წესრიგით.

რაღაც მიზეზით, რისი გარკვევაც ამჟამად ძნელია, წმინდა ევსტათი ანტიოქიელის სახელი დაკარგული იყო ჩვენი ეკლესიის ხსოვნაში. პირველი, ვინც სცადა მოეძია და მოძებნა კიდეც სახელი იმ მღვდელმთავრისა, რომელმაც წმიდა ნინოს ღვაწლს საეკლესიო კურთხევა მისცა, იყო ეფრემ მცირე, XI საუკუნის სასულიერო მწერალი და მოღვაწე. აი, რას წერს ის თავის თხზულებაში „ცნობა ქართველთა მოქცევის მიზეზის შესახებ, თუ რომელ წიგნებშია მოხსენებული":

„... ასევე იმ მოვლინებული ეპისკოპოსის სახელიც ნაპოვნია: ეს იყო წმინდა ევსტათი, ანტიოქიელი პატრიარქი, რომელმაც დაამყარა მირიანის მიერ მცხეთაში აშენებული ეკლესია და უკურთხა მას კათოლიკოსი მთავარეპისკოპოსი. ხოლო ქართველთა მეფემ და მთავრებმა დაუწესეს ანტიოქიის პატრიარქს სოფლები - ათასი კომლი ქართველთა ქვეყანაში წმიდა მირონის ნივთთა მოსასყიდლად, რათა მათი შემოსავლის ფასი მირონის ნივთთა ფასი ყოფილიყო. რადგან იმჟამად არსად მზადდებოდა წმიდა მირონი, გარდა ანტიოქიისა, საიდანაც ყველას ( ყველა ეკლესიას) უნაწილდებოდა. აქედან არის ცნობილი (ქართველთა) მოქცევის ჟამი და რომ ანტიოქიის საყდრის მომდგომნი იყვნენ და მის მიერ იყვნენ ხელდასხმულნი ქართლის კათოლიკოსნი..."

არაგვისა და მტკვრის შესართავთან დგას შენობა — „ანტიოქია", როგორც მდუმარე მოწმე საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიასთან შვილებრივი კავშირისა.

ზურაბ კიკნ[illegible]

## სვეტიცხოველი ყოველი მართლმადიდებლისთვის და ყოველი მართლმადიდებელი სვეტიცხოვლისთვის!



ვინც თავს ვალდებულად რაცხს, სვეტიცხოვლის ბედზე იზრუნოს, ვაუწყებთ ანგარიშს, რომელიც, მსგავსად კიდობნისა, შეკრებს შესაწირს საქართველოს უმთავრესი სალოცავის ასაღორძინებლად:

საქართველოს საპატრიარქოს საკათედრო ტაძრის სვეტიცხოვლის ფონდი 000701709

გთხოვთ, თანხის შეტანის თარიღი აცნობოთ სვეტიცხოვლის წინამძღვარს ტელეფონით: 93-48-69.

შემომწირველთა სახელები შემონაწირი თანხის აღნიშვნით შეტანილი იქნება სვეტიცხოვლის მატიანეში. ჩვენი საზოგადოებრიობა ამ მონაცემებს შეიტყობს პრესის ფურცლებიდან.

ბფარავდეთ ღმერთი.

სვეტიცხოვლის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ი ო ა კ ი მ ე (ასათიანი).

პოზიცია

## ისევ თურქული უნივერსიტეტის შესახებ

### «დასანგრევ გოდოლს ნუ აგაგებთ»

მეორე გვერდიდან

რევაზ სირაძე — პროფესორი, თსუ ქართული ქრისტიანული კულტურის შემსწავლელი ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ბაზალეთის ველზე, ბაზალეთის ტბის პირას, შავი ზღვის აუზის ხალხთა უნივერსიტეტის დაარსება განუზრახავთ თურქ და ქართველ მოღვაწეებს. საზოგადოებამ კარგად არც კი იცის, რა არის ეს, და არის თუ არა ეს წამოწყება ჯეროვნულად გააზრებული?

უპირველეს ყოვლისა, წესისამებრ გვმართებს დავფიქრდეთ, თუ რა დადებითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას. ერთი შეხედვით, თითქოს, ის, რომ ეს ხელს შეუწყობს თურქეთ-საქართველოს ურთიერთობათა განმტკიცებას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. საქმე ისაა, რომ დუშეთში უცხოური უნივერსიტეტის დაარსებას საბოლოოდ ფრიად არასასურველი შედეგები მოჰყვება, რაც უარყოფითად იმოქმედებს თურქეთ-საქართველოს ამჟამად არსებულ კარგ ურთიერთობებზე. თურქეთთან და საერთოდ, შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებთან ურთიერთობათა განმტკიცება სხვა უფრო მიზანშეწონილი გზებით უნდა წარიმართებოდეს და არა აურაცხელი უნივერსიტეტების მქონე ქვეყანაში კიდევ ერთი მთისპირა უნივერსიტეტის დამატებით. არადა, რა ისეთი საუნივერსიტეტო მიზნები უნდა ჰქონდეს ამ ახალ უნივერსიტეტს, რომლებიც უკეთ ვერ განხორციელდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ანდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში?! დადგება საფრთხე, თუნდაც ფინანსური დაინტერესების გზით, მათი მნიშვნელობის დაცემისა.

მცირე საუნივერსიტეტო ქალაქების ტრადიცია ჩვენ არა გვაქვს და ვინ უზრუნველყოფს დუშეთში უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული საერთო-სოციალური, დემოგრაფიული და კრიმინალური პრობლემების მოგვარებას? საუნივერსიტეტო კომპლექსი ხომ მრავალ ეკოლოგიურ პრობლემასაც წამოჭრის, საბოლოოდ ჭაბინძურდება არაგვის წყალი. აღნიშნული წამოწყება საგანგაშოა იმითაც, რომ, საუბედუროდ, მას ჩვენში მოეპოვება თავისი საფუძველი: ესაა საყოველთაო, ქვეყნის დამღუპველი, უაზრო სწრაფვა უმაღლესი განათლებისაკენ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ხდება ქვეყანა, რომელიც უარყოფს საშუალო სკოლას და პირდაპირ გადადის უმაღლეს სასწავლებელზე. სწორედ ამით სარგებლობს ზემოაღნიშნული წამოწყება. გაიზრდებიან —კი ამგვარ უნივერსიტეტში ისეთი ეროვნული მოღვაწენი, ილიას სიტყვებით, რომ ვთქვათ, „ვისაც დღედაღამ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი"?!

სერიოზული მოსალოდნელი შეცდომის წინაშე ვდგავართ. ასეთი შეცდომის გამოსწორება გაუჭირდებათ ჩვენს მომავალ თაობებს.

მსოფლიო

## «სუპერ სამშაბათის» მოლოდინში

აშშ-ში, რესპუბლიკელების პრაიმარიზი — პირველადი არჩევნები, გადამწყვეტ ეტაპს უახლოვდება. გუშინ, რესპუბლიკელთა „მცირე სამშაბათი" იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატებს ერთდროულად ათ შტატში უნდა ეყარათ კენჭი. ექსპერტების აზრით და სოციოლოგიური გამოკითხვების მონაცემებით, „მცირე სამშაბათის" აშკარა ფავორიტია სენატში რესპუბლიკელთა უმრავლესობის ლიდერი რობერტ დოული. მისი მთავარი მოწინააღმდეგეები არიან: კონსერვატორი ტელემიმომხილველი პატრიკ ბიუკენენი, ულტრამილიონერი გამომცემელი სტივ ფორბსი და ტენესის შტატის ყოფილი გუბერნატორი ლამერ ალექსანდერი. ამერიკის პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინ „მცირე სამშაბათის" გარდა, არსებობს „სუპერ სამშაბათიც". ერთი კვირის შემდეგ, სწორედ „სუპერ სამშაბათს" გადანაწილდება რესპუბლიკელთა ყრილობის 330 დელეგატის მხარდაჭერა პრეზიდენტობის კანდიდატებზე.

## ჩინელთა პოზიცია შეუვალია

ჩინეთმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მისი არმია ტაივანის სასაზღვრო წყლების მიმდებარე ტერიტორიაზე პარასკევს დაიწყებს „მიწა-ჰაერი" ტიპის რაკეტების გამოცდას. ეს ინფორმაცია ტაივანმა მუქარად აღიქვა, რადგან იგი დაემთხვა პრემიერ ლი პენის გაფრთხილებას, რომ „ჩინეთი კვლავ სავალდებულოდ მიიჩნევს მის შემადგენლობაში ტაივანის დარჩენას და სეპარაციისთვის წინააღმდეგობის გაწევას".

## ბელფასტის კონფლიქტის ირგვლივ



იან პაისლი



ჯერი ადამსი

ბელფასტში ჩატარდება წინასწარი მოლაპარაკება ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავრობებსა და ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიტიკურ პარტიებს შორის, რომელიც შეეხება 10 ივნისისთვის დაგეგმლი ყველა პარტიის სამშვიდობო მოლაპარაკების წარმართვის ცალკეულ ასპექტებს. ორივე მთავრობა მტკიცე უარზეა, მოლაპარაკებაზე დაუშვას „შინ-ფეინი", ვიდრე ირლანდიის რესპუბლიკური არმია საბოლოოდ არ შეწყვეტს თავის ტერორისტულ კამპანიას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკოსთა აზრით, ამჟამად მდგომარეობა სტაბილურია და „შინ-ფეინის" მხრიდან რაიმე ახალი საფრთხის საშიშროება, ჯერჯერობით, არ იგრძნობა.

* * *

ბელფასტში ჩატარდა ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებული მოლაპარაკება, რომელსაც მასპინძლობდნენ ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი და ბრიტანეთის ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მდივანი სერ პატრიკ მეტიუ. ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიტიკურ პარტიათა მონაწილეობა ამ მოლაპარაკებაში ხასურველი იყო, მაგრამ ცეცხლის შეწყვეტის აღდგენის თაობაზე ირლანდიის რესპუბლიკური არმიის უარის გამო, მისი პოლიტიკური ფრთის „შინ ფეინის" დელეგაციას არ მისცეს ბელფასტში შეხვედრაზე დასწრების უფლება.

ჯერი ადამსმა განაცხადა, რომ „შინ ფეინმა" მიიღო ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავრობების ერთობლივი ოფიციალური მიწვევა, რომლის თანახმად, მათი დასწრება გათვალისწინებული იყო.

დემოკრატთა კავშირის პარტიის ლიდერის იან პაისლის განცხადებით, დუბლინს არ აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებაში, რადგან მან ვერ გააკონტროლა სათანადო დონეზე მდგომარეობა ჩრდილოეთ ირლანდიაში.

## ავიაკომპანია „ორბი"

ORBI GEORGIAN AIRWAYS

ა.წ. 29 მარტიდან იწყებს რეგულარულ ფრენას „ბოინგ-737-300" ტიპის თვითმფრინავით მარშრუტით თბილისი-კიევი-ამსტერდამი-კიევი თბილისი. რეისი შედგება ყოველი კვირის პარასკევ დღეს 9.00 საათზე თბილისის დროით.

ავიაკომპანია „ორბი" ა.წ. 3 აპრილიდან „ბოინგ-737-300" ტიპის თვითმფრინავით იწყებს პირდაპირი რეგულარული რეისის შესრულებას მარშრუტით თბილისი-პარიზი-თბილისი, ყოველი კვირის ოთხშაბათ დღეს 8.50 საათზე თბილისის დროით.

ავიაკომპანია „ორბი" ა.წ. 3 აპრილიდან ტუ-134 ტიპის თვითმფრინავით იწყებს პირდაპირი რეგულარული რეისის შესრულებას მარშრუტით თბილისი-პრაღა-თბილისი, ყოველი კვირის ოთხშაბათ დღეს 11.[illegible] საათზე თბილისის დროით.

ავიაკომპანია „ორბი"-ს რეგულარული რეისებით თქვენ შეგიძლიათ ესტუმროთ საზღვარგარეთის შემდეგ ქალაქებს: ვენას, პარიზს, პრაღას, ბერლინს, ამსტერდამს, ათენს, სტამბოლს, თელ-ავივს, ლარნაკას, თეირანს მოსკოვს, სანკტ-პეტერბურგს, ვოლგოგრადს, კიევს.

ავიაკომპანია „ორბი"-ს ყველა რეგულარულ რეისზე თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ შეღავათიანი ბილეთები საშუალოდ 10 პროცენტის ფასდაკლებით, ასევე, შეღავათიანი ბილეთები ტურისტული ჯგუფებისთვის.

### ავიაკომპანია „ორბი"-ს საერთაშორისო რეისები ა.წ. 15 მარტიდან

| რეისის № | მარშრუტი | დღეები | გამგზავრება | ჩასვლა | თვითმფრინავის ტიპი |
|---|---|---|---|---|---|
| 930 | თბილისი-მოსკოვი (ვნუკოვო) | 2,3,5,6,7 | 11.10 | 12.50 | ბ 737 |
| 929 | მოსკოვი (ვნუკოვო)-თბილისი | 2,3,5,6,7 | 14.30 | 18.00 | ბ 737 |
| 930 * | თბილისი-მოსკოვი (ვნუკოვო) | 4 | 11.10 | 12.50 | ტუ 134 |
| 929 * | მოსკოვი (ვნუკოვო)-თბილისი | 4 | 14.30 | 18.00 | ტუ 134 |
| 936 | თბილსი-მოსკოვი (ვნუკოვო) | 1,3,4,5,6,7 | 13.25 | 14.50 | ტუ 154 |
| 935 | მოსკოვი (ვნუკოვო)-თბილისი | 1,3,4,5,6,7 | 16.30 | 19.50 | ტუ 154 |
| 6881 | თბილისი-სტ.პეტერბურგი | 4 | 13.10 | 15.40 | ბ 737 |
| 6882 | სტ.პეტერბურგი-თბილისი | 4 | 17.40 | 21.50 | ბ 737 |
| 6805 | თბილისი-ვოლგოგრადი | 1 | 09.00 | 09.40 | ტუ 134 |
| 6806 | ვოლგოგრადი-თბილისი | 1 | 11.30 | 14.00 | ტუ 134 |
| 6837 | თბილისი-თელ-ავივი | 7 | 22.00 | 22.50 | ბ 737 |
| 6838 | თელ-ავივი-თბილისი | 1 | 00.50 | 05.35 | ბ 737 |
| 1609 | თბილისი-ათენი | 2 | 09.00 | 10.05 | ტუ 134 |
| 1610 | ათენი-თბილისი | 2 | 11.30 | 16.20 | ტუ 134 |
| 1667 | თბილისი-თეირანი | 5 | 19.00 | 20.05 | ტუ 154 |
| 1668 | თეირანი-თბილისი | 5 | 21.30 | 23.40 | ტუ 154 |
| 1673 | თბილისი-ბერლინი (ტეგელი) | 1 | 18.00 | 20.00 | ბ 737 |
| 1674 | ბერლინი (ტეგელი)-თბილისი | 1 | 22.15 | 06.15 | ბ 737 |
| 1689 | თბილისი-სტამბოლი | 1 | 09.30 | 10.00 | ბ 737 |
| 1690 | სტამბოლი-თბილისი | 1 | 12.00 | 16.30 | ბ 737 |
| 1681 | თბილისი-ვენა | 6 | 10.00 | 13.20 | ტუ 134 |
| 1682 | ვენა-თბილისი | 6 | 14.30 | 21.00 | ტუ 134 |
| 1679 | თბილისი-პრაღა | 3 | 11.30 | 12.20 | ტუ 134 |
| 1680 | პრაღა-თბილისი | 3 | 14.00 | 20.45 | ტუ 134 |
| 1677 | თბილისი-პარიზი | 3 | 08.50 | 10.50 | ბ 737 |
| 1678 | პარიზი-თბილისი | 3 | 12.25 | 20.00 | ბ 737 |

* რეისი სრულდება სხვა ტიპის თვითმფრინავით

ცნობებისთვის მიმართეთ ავიაკომპანია «ორბი»-ს საბილეთო სააგენტოებს.

**ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.**



## იყიდება

- ერთოთახიანი იზოლირებული ბინა გამსახურდიას გამზირზე (ყოფილი პეკინის ქუჩა) ერთი ოთახის მიშენებით, ავტოფარეხით, ტელეფონით. ტელ.: 37-50-75.
- ოროთახიანი ბინა, 40 კვ.მ. იზოლირებულია, ლია აივნით, ეზოთი, მეორე სართული. მისამართი: ლესელიძის ქ. №9 კაფე „მაუგლის" თავზე. ფასი 28 000 ლარი. ტელ.: 98-40-36. მარინა.
- რეგისტრაციის მოწმობით, შტამპით და ბეჭდით, საწესდებო ფონდით 1500 დოლარით, თონით, ავეჯით და აგრეთვე 152 კვ.მ. ოფისით და ამავე ფართობის სარდაფით. საწყისი ფასი 45000 ლარი. ტელ.: 39-87-91, იკითხეთ ვაჟა. მისამართი: ნუცუბიძის ქ. №179.
- ვაკეში, უნივერსიტეტის პირდაპირ სამოთახიანი კუთხის ბინა, ორი აივნით, ტელეფონით, საერთო ფართი 100 კვ.მეტრი. ფასი 85 ათასი ლარი. ტელ.: 22-65-33.
- საბურთალოზე — იოსელიანზე 4-ოთახიანი ბინა მე-13 სართულზე. საერთო ფართი 110 კვ.მეტრი, ორი აბაზანა და ტუალეტი, დიდი ჰოლი, ტელეფონით, სარდაფით, აივნით. ფასი 50 ათასი ლარი. ტელ.: 36-76-06.
- დიღმის მასივში 3-ოთახიანი ბინა ლოჯით. მე-4 კვარტალი. მე-18 კორპუსი. მე-3 სართული. 24-ე ბინა. იკითხეთ ლამარა. ფასი შეთანხმებით.
- ფალიაშვილზე დიდი ოთხოთახიანი სარემონტო ბინა, მესამე სართულზე 160 კვ.მეტრი. ანტრესოლი 25 კვ.მეტრი, ორი ტელეფონი, სარდაფი. ფასი 100 ათასი ლარი. ტელ.: 22-65-33.
- დიდუბეში სამოთახიანი ბინა მიშენებით, გარემონტებული, ცხელი წყლით, პირველი სართული. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-28-08.
- ან იცვლება აგარაკი ასურეთში, ნაკვეთები კვესეთში (ბეთანია) და სამგორის ყოფილ საბჭოთა მეურნეობაში (ლილოს ბაზრობასთან) 1-2 წლის მსუბუქ ავტომანქანაზე. ტელ.: 37-74-71.
- მეტრო „ღრმაღელესთან" ოროთახიანი იზოლირებული სუფთა ბინა დაშენებული მე-9 სართულით. ფართით 79 კვ.მ. სველი წერტილით ტელეფონით, სარდაფით და კაპიტალური გარაჟით. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ ტელეფონზე: 61-57-34, 95-73-59, 34-20-26 იკითხეთ ზაზა.
- კერძო 3-ოთახიანი სახლი ნაძალადევის რაიონში, სარდაფით, ეზოში ავტოფარეხით. ლეჩხუმის ქუჩა №42. ტელ.: 66-24-31. იკითხეთ ეკა (საღამოს საათებში).
- ოროთახიანი ბინა 40 კვ.მ. მეორე სართული, ღია აივნით, ეზოთი. მისამართი: ლესელიძის №9, კაფე „მაუგლის" თავზე. ტელ.: 98-40-36, იკითხეთ მარინა.
- 3 ოთახიანი, იზოლირებული ბინა დიღმის მასივში (დიდუბის ხიდთან) მე-2 კვარტალი, მე-63 კორპუსი, მე-4 სადარბაზო, მე-8 სართული, მიშენებული ლოჯიით 45 კვ. დაშენების უფლებით, ფასი 20 000 ლარი. ტელ.: 93-10-49 51-56-99 (მაიკო).
- ათოთახიანი კერძო სახლი ეზოთი. ფასი 60 000 ლარი. მისამართი: ზემო ვეძისის დასახლება №103 (მარინა).
- ერთსართულიანი საგარაკო სახლი 600 კვ.მ.ეზოთი, საუკეთესო ჯიშის მსხმოიარე ხეხილით, 1800 კვ.მ. ვენახით, გურჯაანის რაიონის სოფელ ჭიმითში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-81-52 ელენე (12 სთ-დან 18 სთ-მდე).
- 6-ოთახიანი ბინა საბურთალოს ცენტრში. ბინას აქვს დიდი სამზარეულო, ოთხი დამხმარე სათავსო, 2 ტუალეტი, დიდი აბაზანა, 2 აივანი, 2 სარდაფი და კაპიტალური ავტოფარეხი. ფასი შეთანხმებით. მისამართი: გამსახურდიას გამზ. 37, მე-2 სად. ბინა 19. ტელ.: 37-17-78.
- ერთოთახიანი ბინა გამსახურდიას გამზირზე, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული, აივნით და ტელეფონით. ფასი 15 000 ლარი. ტელ.: 39-14-25 (ნელი).
- 4-ოთახიანი სუფთა, ტელეფონიანი ბინა გლდანის პირველ მიკრორაიონში (მოსკოვის პროექტი), VIII სართულზე (9 სართულიანში), ფასი 8000 დოლარი. ცნობებისთვის დარეკეთ: 67-30-58 ან 66-43-98.
- თბილისში ერთოთახიან ან ოროთახიან ბინაზე ოზურგეთში ორსართულიანი სახლი დიდი მიწის ნაკვეთით (5000 კვ.მ.). ტელ.: 23-38-26.
- სოფელ ახალუბანში თბილისიდან 28 კმ-ის დაშორებით ორსართულიანი სახლი 1200 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. 6000 ლარად. ტელ.: 93-17-71 დილის საათებში
- ხუთოთახიანი მშენებარე ბინა ვაკეში, საცურაო აუზთან. საერთო ფართი 240 კვ.მ. ბინა დამთავრების სტადიაშია, აქვს ავტოფარეხი 1 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-42-91
- ან იცვლება გარემონტებული, პრივატიზებული, სამსართულიანი ბინა წერეთლის გამზირზე, სინათლე მუდმივია. ცნობებისთვის დარეკეთ: 36-84-03 ან 39-24-52. იკითხეთ ვაჟა.
- ვურის ერთსართულიანი ხუთოთახიანი ბინა 2500 კვ. მ. მიწის ნაკვეთით, კასპის რაიონი, სადგური ქვეხი. საწყისი ფასი 3 500 ლარი. ტელ.: 98-59-84
- ვაჟა-ფშაველას №5-ში ხუთსართულიანი სახლის მეხუთე სართულზე ექვს ოთახიანი ბინა, ლოჯიით. ჭერის სიმაღლე 3,60, ფართობი 250 კვ.მ., ორი ტუალეტით, სამრეცხაოთი, საკუჭნაოთი, ტელეფონით და ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-54-96 (დოდო).
- ან იცვლება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ბორჯომში. მტკვრის მარჯვენა მხარეს, 1200 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. გათბობის სისტემა და რუსული აბანო, ავეჯით. ფასი 25 000 ლარი. ტელ.: 38-01-11.
- ან იცვლება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ოზურგეთში, თოიძის ქუჩაზე 800 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი, სათავსოებით, ავეჯით ან უავეჯოდ კაპიტალური შემოღობვით. ფასი 50 000 ლარი. ტელ.: 38-01-11.
- სამოთახიანი ბინა საბურთალოზე, ტიპიური პროექტით, ძველი რემონტით, ორმაგი კარ-ფანჯრით, რკინის კარით, სამზარეულოთი, აბაზანა კაფელშია. ფასი 33 000 ლარი. ტელ.: 39-84-23.
- არასტანდარტული, გარემონტებული 4-ოთახიანად გადაკეთებული 3-ოთახიანი ბინა ორმხრივი აივნით. ოთახთა ფართი: 28 კვ.მ., 16 კვ.მ., 15 კვ.მ., 11 კვ.მ., ლოჯია 18 კვ.მ. რკინის კარებით. მუდმივი ცხელი წყლით, სარდაფით, კაპიტალური ავტოფარეხით. 8 სართულიანი სახლის მე-4 სართულზე. საბურთალოს ქუჩაზე. ტელ.: 38-11-02.
- დაბა ხარაგაულში (ჭავჭავაძის ქ.№ 9) ორსართულიანი კაპიტალური სახლი, გარაჟით, დამხმარე სათავსოებით, საბაღე მიწის ნაკვეთით, ტელეფონით. მსურველებმა დარეკონ ხარაგაულში: 2-15-42. თბილისში: 37-55-39 (ნათელა).
- წყნეთში ორსართულიანი კორპუსის 1 სართულზე ოთახნახევრიანი იზოლირებული ბინა სამზარეულოთი, აბაზანა-ტუალეტით, ავტოფარეხით, საბოსტნე ადგილით, ტელეფონით. ბინა არის ბელეტაჟზე, კუთხის, მიშენების პერსპექტივით. ტელ.: 29-86-55 ან 78-78-90. ფასი შეთანხმებით.
- საბურთალოზე, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან" სამოთახიანი, ახლადგარემონტებული მაღალჭერიანი ბინა. ოთახების ფართია 20, 22 და 40 კვ.მ., 6-სართულიანი სახლის მეორე სართულზე, კედლის კარადებით, ტელეფონით, სარდაფით, აივნით, რომელსაც მიშენებული აქვს ორი რკინის კარადა. საერთო ფართი 120 კვ.მ. ტელ.: 38-37-43.
- სამოთახიანი, არასტანდარტული, გარემონტებული ბინა საბურთალოს ცენტრში, მეოთხე სართულზე, მეტრო „პოლიტექნიკურთან". ფასი 54 000 ლარი. ტელ.: 38-01-11.
- სამსართულიანი, კაპიტალური, კერძო სახლი სოფელ გალავანში საგურამოსთან, 1500 კვ.მ. ხეხილიანი ბაღით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- ოროთახიანი ტიპიური, გარემონტებული ბინა საბურთალოზე, ბახტრიონის ქუჩაზე. ფასი 24 000 ლარი. ტელ.: 38-01-11.

## ვიყიდი

- ერთოთახიან ბინას ქალაქის ნებისმიერ რაიონში 1200 ლარის ფარგლებში. ტელ.: 23-26-84.

## ვაქირავებ

- ვერაზე, პეტრიაშვილის ქ. №3-ში სამოთახიან ბინაში ორ ოთახს. სტუდენტებზე ან ოჯახზე. ტელ.: 22-11-65. იკითხეთ ნანა. ფასი შეთანხმებით.
- რამდენიმე წლით მიწისქვეშა გარაჟს ჯანდაცვის სამინისტროს ეზოში. ტელ.: 37-74-71.
- ვერაზე 3-ოთახიან ბინაში ერთ ოთახს. გოგონებისთვის. ფასი 70 ლარი. ტელ.: 29-18-06.
- საბურთალოზე, მეტროსადგურ „გოცირიძესთან" (უწინდელი „დელისი") ახლოს, რვასართულიანი სახლის მეხუთე სართულზე ერთოთახიან, იზოლირებულ, უტელეფონო ბინას, თვეში 90 ლარად. ტელ.: 74-48-92.
- ოროთახიან ბინას, ტელეფონით, ავეჯით, საბურთალოზე, მიცკევიჩის ქუჩაზე (კომისარიატის თავზე). ტელ.: 37-29-15 (დათო).
- 3-ოთახიან იზოლირებულ ბინას, ფალიაშვილის №25-ში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-65-88.
- ერთ სართულს ორსართულიან კერძო სახლში, საერთო ფართი 160 კვ.მ. 200 კვ.მ. ეზო, საოფისედ, საბურთალოზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- ოროთახიან ბინას ლოჯიით, ტელეფონით, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან", რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანთან 5 სართულიანი სახლის პირველ სართულზე. ფასი 150 ლარი. ტელ.: 37-23-78.
- აბელედიანის ქუჩაზე (ყოფილი პეროვსკაია), ყოფილი ვერის ბაზრის გვერდით 18 კვ.მ. ოთახს ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. ტელ.: 93-44-05.

## ვცვლი

- ტიპიური პროექტის ერთოთახიან ბინას მაღალ ბელეტაჟზე „კავკასიის ბირჟის" პირდაპირ, ასევე ტიპიური პროექტის ერთოთახიან ბინაზე მეტრო „დელისის" მიდამოებში თანხის დამატებით. პირველ და ბოლო სართულებს ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ.: 38-18-06 31-76-07.
- 5 ოთახიან გარემონტებულ და 1,5 გასარემონტებელ (საერთო ფართი 80 კვ.მ.) ბინებს დიდუბის პანთეონთან ერთ სადარბაზოში მე-3 და მე-2 სართულებზე — ავტოფარეხით. მანქანის დასაყენებელი ადგილით, სარდაფით, ტელეფონებით — საკუთარ სახლზე ეზოთი, საბურთალოზე (შესაძლებელია საკუთარი სახლის ყიდვაც შეთანხმებიდან 1 თვეში ბინების გაყიდვის შემდეგ). ტელ.: 34-72-36.
- თემქაზე მე-3 მიკრორაიონში ჩეხური პროექტის ოროთახიან სუფთა ბინას (მე-7 სართული, უტელეფონოდ) და დიდ დიღომში მე-3 მიკრორაიონში ახალ ბინას (მე-16 სართული), სამოთახიან „ხრუშჩოვკაზე", ვაჟა-ფშაველაზე ნებისმიერ ადგილას. ტელ.: 99-76-70. იკითხეთ ირა.



## ავტობირჟა

- ვყიდი 6 ტონიან ბენზინმზიდს. ტელეფონი: 38-21-40. სამუშაო დღეებში დარეკეთ 7 საათის შემდეგ იკითხეთ ირაკლი.
- ვყიდი პრესტიჟულ ამერიკულ მანქანას „ფორდ-მერკური-მონარქი". საწყისი ფასი 5000 ლარი. ტელ.: 34-72-36.
- ვყიდი მანქანის კონდენციონერს, იაპონური, „ხიტაჩი". ფასი 200 ლარი. ტელეფონი: 93-11-81 მარინა
- ვყიდი „ოპელ-სენატორს" 1986 წლის გამოშვება. ყავისფერი პერლამუტრი, კარგ მდგომარეობაში, ლუკით, ფასი 4000 ლარი. ტელეფონი: 39-54-14 (ქეთინო).

## სხვადასხვა

- ვყიდი ყავისფერ, არასტანდარტული წარმოების, შესანიშნავი ჟღერადობის პიანინოს „ბელორუსი" (ძალიან კარგ მდგომარეობაში). ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-00-48.
- ვყიდი მუხის კარ-ფანჯარას ჩარჩოებით. 12 კარება, 12 ფანჯარა. ფასი 1 კვ.მეტრი 80 ლარი. ტელ.: 22-65-33.
- ვყიდი „ლეჟაკის" ტიპის ფუტკრის ახალ სკებს, დაკომპლექტებული ჩარჩოებით და დასათბუნებელი ბალიშებით, 25 ცალს. ცნობებისთვის დარეკეთ: 95-73-08 — ვახტანგი.
- ვყიდი საძინებელ ავეჯს „ლუდოვიკო" და „ავრორა" და 9-ფოთლიან „გორკას". ტელ.: 96-89-17, იკითხეთ ნუგზარი ან ილო.
- ვყიდი ჩინურ ყავის სერვიზს „დრაკონი" 6 კაცზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-04-05, იკითხეთ ეკა
- ვყიდი გერმანულ პიანინოს „როინიში". ფასი შეთანხმებით; ფინურ რბილ სამეულს, გადაკრულს ხავერდის ნაჭრით. ფასი 1500 ლარი. ტელ.: 37-17-63.
- ვყიდი იუგოსლავიურ კედელს „მირაჟი"; ბულგარულ საძინებელს „სოფიოს"; პოლონურ კედელს „დოროცა"+რბილი სამეული+საწერი მაგიდა; კედლის ძველებურ სარკეს 1X1,5. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-16-78 ან 39-34-37.
- ვყიდი „გარაჟის" რკინის კარებს, ზომა: სიგანე-2,7 მ. სიმაღლე-2,3 მ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-07-04 (ოთარი), 36-24-83 (მზია) (საღამოს საათებში).
- ვყიდი 2-ტონიან, უჟანგავ ლითონის ავზს, ზომა 2 X 1 X 1, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-07-04 (ოთარი), 36-24-83 (მზია) (საღამოს საათებში).
- მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ფიზიკასა და მათემატიკაში ბინაზე მისვლით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-96-24 (იზა).
- პროფესიონალი მუსიკოსი აგიწყობთ ფორტეპიანოს. ტელ.: 38-96-24 (იზა).
- მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ფიზიკასა და მათემატიკაში. ტელ.: 23-13-41. იყიდება
- ვყიდი გერმანულ აკორდეონს ფირმა „ველტმეისტერ". 120 ბანიანი, საკონცერტო. კაფეს და სახინკლის მაგიდებს და სკამებს, ყინულის კუბიკების გენერატორს, ხის ორი ცალ ერთ კარს ჩარჩოებით 237X72. ტელ.: 37-74-71.
- ვყიდი შეფუთულ გერმანულ კედელს „შაფელი" სამეულის, მაგიდისა და სკამების გარეშე. ფასი 1300 ლარი. ტელ: 78-75-86.
- პროფესიონალი მძღოლები დაგეხმარებიან ავტომანქანების გადმოყვანაში ნებისმიერი ქვეყნიდან. ტელ.: 36-14-76; 99-55-15, საღამოს საათებში.
- ვყიდი საძინებელს „ლუდოვიკო", სასადილო „რენესანსს". ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-89-17. იკითხეთ ილო ან ნუგზარი.
- ვყიდი იმპორტულ სასადილო კომპლექტს „რეჟანსს", ახალ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-79-27. თამილა.
- ვყიდი კედელს „მირაჟი", კედლის ძველებურ სარკეს 1X1,5. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-16-78, 31-89-48.
- ვამზადებთ თერმო გადასაყვან სურათებს, ქაღალდიდან ყველა ტიპის და ფერის ქსოვილზე. აგრეთვე, ყველა სახის ეტიკეტებს და კალენდრებს. მისამართი: დ.უზნაძის 23. ტელ.: 95-69-17.
- ვყიდი კუთხოვნებში ჩასმულ რკინის ბადეს (ლობეს ეზოსთვის, ნაკვეთისთვის), ბადე არის უჟანგავი [illegible] სმ. რაოდენობა 70 ცალი, თავისი ძელებით. ძელების ზომაა 2 მ და 80 სმ. ფასი შეთანხმებით. ტელ. 66-19-26. იკითხეთ ოთარი.
- ვყიდი მასიურ რკინის კარებს ნაკვეთისთვის ეზოსთვის, ზომა 4X2. ტელ.: 66-19-26. იკითხეთ ოთარი.
- ვყიდი პოლონურ სასადილო „გდანსკის". ახალ, შეფუთულ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით ტელ.: 66-45-97.
- ვყიდი პოლონურ კედელს „დოროტა", თავისი რბილი სამეულით; საწერ მაგიდას, გასაშლელ მაგიდას. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-16-78.
- ვყიდი გერმანულ პიანინოს „როინიში". იუგოსლავიურ კედელს „მირაჟი"; ბულგარულ საძინებელს „სოფია", წიგნების კარადას, ხელგას, კედლის ძველებურ სარკეს 1X1,50. ფასი შეთანხმებით. ტელ 37-34-37, 39-16-78.

**გთავაზობთ უცხოური და ე.წ. სამამულო წარმოების ელექტრო აგრეგატების (დიზელის და ბენზინის ძრავიანი ელექტროგენერატორების) კვალიფიციურ მომსახურებას და შეკეთებას. მოგვმართეთ ტელეფონით: 36-24-73; 96-92-78. დარეკეთ დილის და საღამოს საათებში. მისამართი: ზაზიშვილის (მონტინის) მესამე შესახვევი №16 ბ; ხილიანის №65.**


# ფირმა „თორი"

**ბინების ყიდვა-გაყიდვა გაცვლა გაქირავება**

ფირმა დაინტერესებულია დიდი ბინებით და კერძო სახლებით ქალაქის პრესტიჟულ რაიონებში.

## იყიდება

- ☐ ვაკეში დიდი სამსართულიანი სახლი დამოუკიდებელი ეზოთი, გამოდგება წარმომადგენლობისთვის, ფასი 690 000 ლარი.
- ☐ ვაკეში, ბარნოვზე დიდი ხუთოთახიანი სარემონტო ბინა, ფასი 120 000 ლარი.
- ☐ ბარნოვზე უმაღლესი კატეგორიის ხუთოთახიანი ბინა, ფასი 204 000 ლარი.
- ☐ ვაკეში ფალიაშვილზე ოთხოთახიანი სუფთა ბინა ძველი რემონტით, ფასი 88 000 ლარი.
- ☐ ვაკეში ბარნოვზე ოთხოთახიანი ბინა მესამე სართულზე ორი ლოჯიით, ფასი 78 000 ლარი.
- ☐ ვაკეში ბარნოვზე ხუთოთახიანი ბინა 6 წლის რემონტით 42+32+20+25+20 კვ.მ, სამზარეულო — 20 კვ.მ, ჰოლი — 14 კვ.მ, ფასი 120 000 ლარი.
- ☐ ვაკეში სამოთახიანი გარემონტებული ბინა მაღალ ბელეტაჟზე, ფასი 55 000 ლარი.
- ☐ ვაკეში ატენის ქუჩაზე მშენებარე საკუთარი სახლი, ფასი 70 000 ლარი.
- ☐ ვერაზე კერძო ოთხსართულიანი სასტუმრო, ფასი შეთანხმებით.
- ☐ ვერაზე საუკეთესო ადგილზე პრესტიჟული დიდი ბინა, ფასი შეთანხმებით.
- ☐ ვერაზე დუპლექსის ტიპის ხუთოთახიანი ახალგარემონტებული ბინა ბარნოვზე, ფასი 112 000 ლარი.
- ☐ ვერაზე კარგ ადგილზე 600 კვ.მ მიწის ფართი კაპიტალური პატარა სახლით, ფასი 130 000 ლარი.
- ☐ საბურთალოზე ორსართულიანი, თორმეტოთახიანი გარემონტებული სახლი 600 კვ.მ ფართის ეზოთი, ფასი 252 000 ლარი.
- ☐ საბურთალოზე არასტანდარტული სამოთახიანი სუფთა ბინა, ფასი შეთანხმებით.
- ☐ პლეხანოვზე ექვსოთახიანი გარემონტებული ბინა კაპიტალურ სახლში კარგ სართულზე, ფასი 132 000 ლარი.
- ☐ სოლოლაკში ისტორიულ სახლში ათოთახიანი სარემონტო ბინა მეორე სართულზე, 412 მ2 ფართი. გამოდგება საოფისედ, ფასი 206 000 ლარი.
- ☐ სოლოლაკში ხუთოთახიანი 207 კვ.მ ფართის ბინა კარგ სართულზე, ფასი 69 000 ლარი.
- ☐ რუსთაველზე 200 კვ.მ ფართის საოფისე საკუთარი დამოუკიდებელი ეზოთი, ფასი 204 000 ლარი.
- ☐ გრიბოედოვზე, ახალგარემონტებული ოთხოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე, 206 კვ.მ ფართი, გამოდგება საოფისედ, ფასი 103 000 ლარი.
- ☐ მთაწმინდაზე ძლიერ კარგად გარემონტებული სამსართულიანი სახლი კოხტა ეზოთი, ფასი 204 000 ლარი.
- ☐ ფიქრის გორაზე, სუფთა სამოთახიანი ბინა იზოლირებული ოთახებით, საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს, ფასი 64 000 ლარი.
- ☐ მთაწმინდაზე ახლაშენებულ სახლში ოთხოთახიანი ურემონტო ბინა, ფასი 44 000 ლარი.

მისამართი: სოლოლაკი, ლეონიძის ქ.14 (ყოფილი კიროვის)
ტელეფონი 93-39-98 93-18-03
10სთ-დან 19სთ-მდე ყოველდღე.


შვილები ლამარა, ვალერი, იამზე, ძმა ვასილ კაციტაძე, რძალი ნელი აბრამიშვილი, შვილიშვილები ნინო, მაია, ნანა, ინგა, ლელა, რუსუდანი, ლევანი, ნათია, შვილთაშვილები მაია, თემური, ლექსო, ირაკლი, ნათია, გვანცა, სიძეები ვახტანგ ლობჟანიძე, მენზერ ბერუკაშვილი, გია თუშიშვილი, ალექსანდრე კაკუბავა, მძახალი ეკატერინე ქურდოვანიძე, ძმისწულები, დისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრე დავითის ძე კაციტაძე**

პანაშვიდი: 5,6 მარტს 3 საათზე. აკ. წერეთლის გამზირი 41.
გადასვენება: 7 მარტს.
დაკრძალვა: 9 მარტს, 2 საათზე. ამბროლაურის რაიონის სოფელი მუხლი.

მეუღლე ნანა თარგამაძე, შვილები იეიკო, ეკა, რძალი სალომე ოდიშარია, სიძე ნიკა ფარჩუაშვილი, სიდედრი ზინაიდა ჩიგოგიძე, შვილიშვილი რატი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ამირან ივანეს ძე გოგიჩაიშვილი**

პანაშვიდი: 5,6 მარტს, 15 საათზე.
გამოსვენება: 7 მარტს, 13 საათზე.
მისამართი: ბახტრიონის ქუჩა, I კორპუსი, I სად., მე-5 სართული, ბინა №12.
დაკრძალვა საგურამოში.

## კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 7. მე-19 საუკუნის დიდი გერმანელი არქეოლოგი, ტროას აღმომჩენი 10. საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო 11. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი ქალი 12. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი 13. ნეტარი ქვეყანა, სამოთხე 14. ყურძნის ჯიში 15. ჟ.ვერნის ნაწარმოების პერსონაჟი 17. ზღვის თევზი 18. მექსიკის ქალაქი, შტატ ხალისკოს ადმინისტრაციული ცენტრი 19. დიდი ქართველი მწერალი, კლასიკოსი 26. ჰემინგუეის რომანი 27. სისხლნაკლებობა 28. გურიის მაღალმთიანი კურორტი 30.მინის მსგავსი გაუმჭვირვალი მასა, მინანქარი 31. ავტორი ისტორიული რომანისა „გმირთა ვარამი" 32. ქალ-ვაჟისადმი მიძღვნილი ლხინი, დროსტარება, მათი სიხარულის გაზიარება 33. „პატარა პრინცის", „ადამიანთა მიწის" და სხვა ნაწარმოებთა ავტორის, ფრანგი მწერლის სახელი 34. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე ლამაზი, წითელი, უსუნო ყვავილით.

ვერტიკალურად: 1. მუსულმანური მარხვის ორკვირეული 2. მიუღებელ ავტორთა თხზულებების, შრომების საჯარო დაწვა 3. კლავიშებიან საკრავთა საერთო სახელწოდება 4. ძველი თბილისის კოლორიტული ტიპაჟი 5. ადგილობრივი, სუსტი ქარი ზღვაზე 6. ვრცელი უშენი მინდორი, უპატრონო ადგილი 8. გემების დიდი შენაერთი საზღვაო ფლოტში 9. ბრაზილიაში მსხვილი მემამულის კარ-მიდამო — ქალაქგარეთ, სოფლად 16. ძილისპირული 17. რუსეთ-იაპონიის სადავო ტერიტორია 20. ხმამაღალი, გულიანი სიცილი 21. სათავადაზნაურო ტიტული ფეოდალურ საფრანგეთში 22. მმართველის ბრძანებულება აღმოსავლეთ ქვეყნებში (ძველად) 23. ქალაქი ომსკის ოლქში 24. არაჩვეულებრივი ნიჭის ადამიანი 25. ერთი ნივთიერების ატომების მეორეში შეღწევა 28. მკვეხარა, ტრაბახა 29. წმიდა ბარძიმის ქვესაფენი — ზიარების დროს.



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 7. ფორსაიტი; 8. არქიმედი; 9. ფედრა; 10. სიგმა; 11. აგნია; 14. პოსეიდონი; 17. ვიკონტი; 18. მორავია; 19. იკაროსი; 21. ციმციმი; [illegible] არდაზიანი; 28. ოდოია; 29. დესნა; 30. ბონდი; 31. ინდივიდი; 32. სუვერენი;

ვერტიკალურად: 1. ჰომეროსი; 2. ესერი; 3. პირინეი; 4. თალმუდი; 5. შმიგა; 6. ადმირალი; 12. კორტასარი; 13. ანტონიონი; 15. კობრა; 16. ლანცა; 20. კაბად[illegible] 22. მარადონა; 23. კარელია; 24. ბიზნესი; 26. ქიმია; 27. მონრო.


# ბინების და სახლების ყიდვა-გაყიდვა

„კედარი" „KEDARI"

ტელ.: 22-36-25, 22-22-73 **საშუამავლო ფირმა** ტელ.: 22-36-25, 22-22-73

**გვაქვს ბინების, საკუთარი სახლების, ოფისებისა და სხვა მონაცემთა დიდი საინფორმაციო ბანკი ვაკეში — ვერაზე — საბურთალოზე.**

- ვაკეში მცხეთის ქუჩის დასაწყისში ერთსართულიანი საკუთარი სახლი 4 ოთახით, სარდაფით, ეზო 250 კვ.მ. ფასი: 90 000 ლარი.
- ვაკეში კარგ ადგილზე მიწის ნაკვეთი, ახალი სახლის ასაშენებლად ფართობით 300 კვ.მ. ფასი: 40 000 ლარი.
- ვაკეში ფალიაშვილის ქუჩაზე მე-3 სართულზე, არასტანდარტული იზოლირებული ბინა, მაღალი ჭერით, 2 აივნით, სამზარეულო 16 კვ.მ. ფასი: 70 000 ლარი.
- ვაკეში ი.ჭავჭავაძის გამზირზე ერთ სართულზე 3+2-ოთახიანი ბინა, საერთო ფართობით 180 კვ.მ. ფასი: 130 000 ლარი.
- ვაკეში ი.აბაშიძის ქუჩაზე (ყოფილი ბარნოვი) მე-4 სართულზე არასტანდარტული 4-ოთახიანი ბინა, ორი დიდი აივნით, კარგი ხედით. ფასი: 120 000 ლარი.
- ვაკეში ი.აბაშიძის ქუჩაზე ორი ბინა (დუპლექსი) საერთო ფართობით 250 კვ.მ. ფასი: 100 000 ლარი.
- ვაკეში ცხვედაძის ქუჩაზე დიდი საკუთარი სახლი, დიდი ეზოთი. ფასი: 150 000 ლარი.
- ვაკეში ატენის ქუჩაზე 3-ოთახიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. ფასი: 60 000 ლარი.
- ვერაზე თარხნიშვილის ქუჩაზე მე-2 სართულზე, არასტანდარტული 4-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, ძველი ანტიკვარული ავეჯით (ბინის მთლიანი განწყობილობა) ბინის ფასი ცალკე 125 000 ლარი. ავეჯით — 160 000 ლარი.
- ვერაზე ბელინსკის ქუჩის დასაწყისში ორსართულიანი დამოუკიდებელი სახლი, მაღაზიისთვის, ოფისისთვის. ფასი: 125 000 ლარი.
- საბურთალოს ცენტრში ალ ყაზბეგის გამზირზე ოფისი-მაღაზია. 7 ოთახი. საერთო ფართობით 130 კვ.მ. სარდაფი 32 კვ.მ. ფასი 60 000 ლარი.
- მეტრო „დელისთან" მე-4 სართულზე 5-ოთახიანი კუთხის ბინა, რემონტით, ფასი: 70 000 ლარი.
- საბურთალოს ცენტრში საკუთარი სახლი, 6 ოთახი, ეზო 400 კვ.მ. ფასი: 125 000 ლარი.
- საბურთალოზე კუტუზოვის ქუჩაზე დიდი 4-ოთახიანი, საერთო ფართობით 150 კვ.მ. დიდი სარდაფით. ფასი: 70 000 ლარი.
- საბურთალოს ცენტრში იზოლირებული 1-ოთახიანი, მაღალი ჭერით. ფასი: 13 000 ლარი.
- ბახტრიონის ქუჩაზე არასტანდარტული 2-ოთახიანი, კარგი რემონტით. ფასი: 40 000 ლარი.

**უცხოელი იყიდის სახლს ან ბინას.**

ფირმის მისამართია:
ფალიაშვილის ქ. 118, ვაკის პარკთან, სახლმმართველობის შენობაში, მე-2 სართული.
მიღება ყოველდღე: 10-დან 18 საათამდე.



დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი ვასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.